# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 22 ივნისი 2001 №115 (1388) | ფასი 50 თეთრი


# ალექსანდრე ჩივაძემ გარისკა

მია ხაჯალაძის ფოტო





## თანახმა ვარ, ნაკრებს მე ვიბარებ

## ახლა უფრო მეტი ვიცი, ვიდრე მაშინ, ნაკრებს უფრო გამოცდილი ვუბრუნდები

კობა ინასარიძის ექსკლუზიური ინტერვიუ ალექსანდრე ჩივაძესთან

იხილეთ მეორე გვერდზე

# ალექსანდრე ჩივაძემ გარისკა




**ახლა უკვე ადარაფერია სამარცხვინო და ტვინის საჭყლეტი. თითქმის გადაწყვეტილი ამბავია: საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე იქნება და მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო სამი შესარჩევი მატჩისას ნაკრებს ის უხელმძღვანელებს.**

**ოფიციალურად** ალექსანდრე ჩივაძის სტატუსი უცვლელი რჩება — ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და ნაკრებთა კომიტეტის უფროსი. იგი საქართველოს ნაკრებს სამი წელი წვრთნიდა და 1996 წლის შემოდგომაზე გადადგა.

ახლა ალექსანდრე ჩივაძე ნაკრებს უბრუნდება, უბრუნდება დიდი ხნის ფიქრისა და განსჯის შემდეგ. ის თანახმაა, ეროვნული გუნდი ჩაიბაროს, თანახმაა, ნაკრების სამ შესარჩევ მატჩზე პასუხისმგებელი იყოს.

ოღონდ იქამდე, ვიდრე ვიტყოდეთ, ალექსანდრე ჩივაძე ნაღდად ნაკრების მწვრთნელიაო, დაახლოებით ოცი დღეც უნდა მოვიცადოთ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია და თავად ჩივაძე არგენტინაში ფიფას კონგრესს უნდა დაესწრონ და თავიანთ უცხოელ კოლეგებსაც შეხვდნენ. იქ ეგებ ჩვენებურებს ვინმემ რაიმე სახეირო ურჩიოს და ნაკრებიც ამ შესარჩევ ციკლშივე სხვას ჩაბარდეს. თუმცა, საამისო შანსი ერთობ მცირეა და 99 პროცენტი იმისაა, ოქტომბრამდე ნაკრების ფაქტობრივი მწვრთნელი ჩივაძე იყოს.

ეს ყოველივე გუშინ გაირკვა. ჩივაძე ჩოლარიას შეხვდა და განუცხადა, რომ თამახმაა, ეროვნულ გუნდს ეს შესარჩევი ციკლი ჩაამთავრებინოს.

დანარჩენი წაიკითხეთ ამ ექსკლუზიურ ინტერვიუში. ***ალექსანდრე ჩივაძეს*** გუშინვე, გენერალურ მდივანთან შეხვედრის შემდეგ ვესაუბრეთ.

**— თანახმა ხართ, საქართველოს ნაკრები ჩაიბაროთ?**

— თანახმა ვარ. ეროვნულ გუნდს დარჩენილი სამი შესარჩევი მატჩისას მე ვუხელმძღვანელებ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, გენერალური მდივანი და მე ასე შევთანხმდით.

**— გამორიცხულია, რომ მერაბ ჟორდანიამ და ვალერი ჩოლარიამ არგენტინაში ვიზიტის შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალონ და ნაკრები უცხოელ მწვრთნელს ჩააბარონ?**

— რატომ არის გამორიცხული? სხვათა შორის, არგენტინაში, ფიფას კონგრესზე დასასწრებად მეც მივემგზავრები და დაგეგმილ შეხვედრებს დავესწრები. ჩვენ გვაქვს ჩვენი ვარიანტები, ვფიქრობთ, ვინ შეიძლება გაწვრთნას ნაკრები და უცხოელ კოლეგებს, ჩვენს მეგობრებს, ამის თაობაზე რჩევას დავეკითხებით. ვნახოთ, რა გამოვა. თუ არადა, დეკემბრისთვის, ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის კენჭისყრის შემდეგ რამეს მოვიფიქრებთ.

**— იქამდე კი ნაკრებს თქვენ ჩაიბარებთ?**

— დიახ. როგორც ვთქვი.

**— სხვა ვარიანტი არ არის? უფრო მეტი ხნით არ იმუშავებთ ნაკრებში?**

— ჯერ ის სამი მატჩი ვითამაშოთ.

**— ასე იქნება თუ ისე, ვითამაშებთ.**

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ტყუილის თქმას არ ვიკადრებ. ჩავატაროთ ამ ციკლის დარჩენილი მატჩები და ამ საკითხზე მერე ვილაპარაკოთ.

**— რამდენად რეალურია, რომ მწვრთნელი ოფიციალურად ჟორდანიას, ჩოლარიასა და თქვენი არგენტინიდან ჩამოსვლის შემდეგ დაინიშნოს?**

— მერაბ ჟორდანიას უცხოელ კოლეგებთან საკმაოდ კარგი და ხშირი კონტაქტები აქვს. ყველა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციათა პრეზიდენტები არგენტინაში იქნებიან და ჩვენც, დარწმუნებული ვარ, მწვრთნელებზე ბევრ საჭირო ინფორმაციას შევიტყობთ. მათგან კი სასურველს ავირჩევთ.

**— როგორც ვიცე-პრეზიდენტს პრეზიდენტისთვის და გენერალური მდივნისთვის თუ შეგითავაზებიათ ნაკრების მწვრთნელის თქვენი კანდიდატურა?**

— ახლაც ბევრია თავისუფალი მწვრთნელი და შესარჩევი ციკლის დამთავრების შემდეგ კიდევ ბევრი დარჩება უმუშევარი. კონკრეტულ კანდიდატურაზე კი არ მიფიქრია.

**— საქართველოს ნაკრებმა თქვენი ხელმძღვანელობით სამივე მატჩი რომ მოიგოს და მოხდეს სასწაული, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვოს, მწვრთნელობას სხვას დაუთმობთ?**

— ეს რომ მოხდეს, თქვენ გამიშვებთ ნაკრებიდან? ღმერთმა ქნას, ასე მოხდეს. ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება. ჯერჯერობით კი მე უნგრეთთან და ლიტვასთან თბილისში, რუმინეთთან კი სტუმრად მატჩებისას ვუხელმძღვანელებ ნაკრებს. ამის ასპროცენტიან გარანტიას ვიძლევი.

**— თავიდან ეროვნულ გუნდში დაბრუნებას რატომ უარობდით?**

— ნაკრებს ყიფიანი და ძოძუაშვილი წვრთნიდნენ.

**— არა, მათი გათავისუფლების შემდეგ.**

— ყველა მწვრთნელს ურჩევნია, ნაკრები შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ჩაიბაროს. ახლა კი ჩვენი მდგომარეობა არასახარბიელოა, პერსპექტივა არ არის. ამაზე ვფიქრობდი და აგერ მოვიფიქრე კიდეც. დღეს თქვენი გაზეთის საშუალებით ვაცხადებ — თანახმა ვარ, ნაკრებს მე ვიბარებ.

**— მერედა, წარსულის უსიამოვნო მოგონებანი...**

— არ მესწავლება, ნაწვნევი მაქვს, ვიცი, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა. მე ვრისკავ. ურისკოდ არაფერი გამოვა. ვრისკავ, რადგან სპორტული ჟინიც მიბიძგებს ამისკენ. მჯერა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელების, მათი შესაძლებლობების. ვიცი, ისინი საქმეს გამიიოლებენ, ამ ფეხბურთელთა უმეტესობასთან ადრეც მიმუშავია და ახლაც ერთმანეთთან საკმაოდ თბილი ურთიერთობა გვაქვს. ამ ოთხი წელიწადის განმავლობაშიც, რაც ნაკრებიდან წამოვედი, გუნდის თითქმის ყველა თამაში ვნახე. ახლა უფრო მეტი ვიცი, ვიდრე მაშინ და ნაკრებსაც უფრო გამოცდილი ვუბრუნდები.

**— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.**

— იცოცხლეთ.

მოკლედ, თავად განსაჯეთ, არის თუ არა ჩივაძე ნაკრების მწვრთნელი.

ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია კი აზუსტებს, ალექსანდრე ჩივაძე არ არის ნაკრების მწვრთნელი, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის სამი დარჩენილი მატჩისთვის ეროვნულ გუნდს მოამზადებს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და ნაკრებთა კომიტეტის უფროსი... ალექსანდრე ჩივაძე.

**კოგა ინასარიძე**



ალექსანდრე ჩივაძისთვის ნაკრების ახლანდელ წევრებთან მუშაობა უცხო არ არის



REUTERS

ირანი — განა. გაიტანეს, გაიხარეს განელებმა



REUTERS

სელტა — ვალენსია. ვიგოელმა ბრაზილიელმა ჯოვანელამ ბარსელონელ ბრაზილიელ რივალდოს ბურთი დაუმალა

**შვედეთი**

იორგრიტე 1:1 ელფსბორგი

**ესპანეთი**

თასის 1/2 ფინალი

სელტა 3:1 ბარსელონა

0:1 სიმაო(6), 1:1 ბერიზო(45), 2:1 მოსტოვოი(52), 3:1 ხესული(72)

**იტალია**

სერია A. პლეი აუტი

ვერონა 1:0 რეჯინა

1:0 ლაურსენი(61)

**ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი**

ავსტრალია 0:3 ჩეხეთი

კოსტა რიკა 3:1 ეთიოპია

საფრანგეთი 2:2 პარაგვაი

იაპონია 1:2 ანგოლა

ჰოლანდია 1:1 ეკვადორი

ირანი 0:1 განა

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
◆ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
◆ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
◆ კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით
თსსუ ცენტრალური კლინიკა (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო).
I სართული ტელეფონი: 38-67-56; 8 99 107 109

# ფარერებიდან ქვარაცხელიამდე

ქუთაისიდან ყველაზე ახლოს აზერბაიჯანული „შამქირია“, უშორესი კი — ფარერის კუნძულების „ვაგური“. ეს ორი გუნდი იმ ათთაგანია, საქართველოს ჩემპიონს რომ ელის ჩემპიონთა თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე. წილისყრა დღეს ჟენევის სასტუმრო „ნოგა ჰილტონში“ შედგება. იქვე გაირკვევიან თბილისური „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ მეტოქეები უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე, თუმცა ეს ტურნირი აგვისტოში იწყება, ამიტომ ისევ ქუთაისის „ტორპედოს“ დავუბრუნდეთ.

„შამქირი“ ყველაზე ახლოაო, ვთქვით, მაგრამ ამ აზერბაიჯანულ გუნდს ყველაზე სასურველს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ: ჩვენი სამეზობლოს ჩემპიონმა, სადაც ბადრი კვარაცხელია თამაშობს, თავი შარშანდელ გათამაშებაში ღირსეული გამოსვლით დაგვამახსოვრა, როცა პირველ ეტაპზე რიგის „სკონტოს“ მოუგო, შემდეგ კი ტოლ-სწორ ბრძოლაში დამარცხდა პრაღის „სლავიასთან“.

„ტორპედოს“ სავარაუდო მეტოქეთა შორისაა კიდევ ერთი ამიერკავკასიელი ჩემპიონი, სომხური „არაქსი“. ეს ის გუნდია, რომელიც შარშან ქუთაისელებმა საკუთარ სტადიონზე განათების მოწყობის აღსანიშნავად იწვიეს და ამხანაგურ შეხვედრაში ვერაფერი დააკლეს — 0:0.

დანარჩენი რვიდან ყველაზე სახიფათოდ ბოსნიური „ჟელეზნიჩარი“ და მაკედონიური „სლოგა იუგომაგნატი“ მიგვაჩნია, თუმცა ჩვენი ფეხბურთის დღევანდელ დონეს თუ გავითვალისწინებთ, არც მალტური „ვალეტა“ გვესახება ხელწამოსაკრავად. აქვეა ჩრდილოირლანდიური „ლინფილდიც“, რომელსაც ქართულმა კლუბებმა („დინამომ“ და „ლოკომოტივმა“) ორჯერ კი სძლიეს, მაგრამ ორჯერვე მინიმალური უპირატესობით. მოკლედ, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თავის დასაგულებლად და ქუთაისში რომელიმე სახელგანთქმული კლუბის ჩამოსაყვანად („ანდერლეხტი“, „პორტუ“, „რეინჯერსი“...) ყველაზე უპრიანი ისევ ცხრამთისიქითა ფარერულ „ვაგურთან“ დაწყვილება იქნება. ახდება თუ არა ჩვენი სურვილი, რამდენიმე საათში შევიტყობთ.

და სანამ უეფას თასზეც ვიტყოდით ორიოდ სიტყვას, გაცნობებთ, რომ უნგრეთის ჩემპიონი ამ უქმეებზე გამოვლინდება. ოდნავ მოგვიანებით გაირკვევა ესპანეთის მესამე წარგზავნილი უეფას თასზე. წესით, ეს ადგილი ქვეყნის თასის მფლობელს უნდა ერგოს, დღეისთვის კი იქ ნახევარფინალები ტარდება. კანდიდატი ოთხია: „სარაგოსა“, მადრიდის „ატლეტიკო“, „ბარსელონა“ და „სელტა“. პირველი ორიდან ერთ-ერთის გამარჯვების შემთხვევაში მესამე ვაკანტურ ადგილს სწორედ თასის მფლობელი დაისაკუთრებს, ხოლო თუ თასი „ბა[illegible]“ ევროსარბიელზე ფინალისტი გავა. აი, „სელტას“ წარმატების შემთხვევაში კი უეფას თასზე პრიმერადივიზიონში მერვე ადგილზე გასული „ვილიარეალი“ გამწესდება, ვინაიდან ვიგოელებს ეს საგზური ისედაც განაღდებული აქვთ.

სამაგიეროდ, გუშინწინ ესპანელებმა ინტერტოტოს თასზე კუთვნილი ორი ადგილი დათმეს და ამით ფრანგულმა „პარი სენ ჟერმენმა“ და ინგლისურმა „ნიუკასლ იუნაიტედმა“ იხეირეს. პარიზელები ამ გათამაშებაში მეორე წრიდანვე ჩაებმებიან (ფინურ „ჯაზსა“ და რუმინულ „გლორიას“ შორის გამარჯვებულს შეხვდებიან), ბობი რობსონის გუნდი კი უეფას თასისკენ მიმავალ გზას მესამე წრიდან გაუყვება.

**გიგა ძოწახიძე**

## ჩემპიონთა ლიგა / უეფას თასი

| ჯგუფური ეტაპი 11.09-დან 31.10-მდე | III საკვალ. ეტაპი 7-8.08—21-22.08 | II საკვალ. ეტაპი 25.07—1.08 | I საკვალ. ეტაპი 11.07—18.07 | | | | საკვალიფიკაციო ეტაპი 9.08—23.08 | პირველი ეტაპი 13.09—27.09 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი, დეპორტივო | მალიორკა, ბარსელონა | | | 4 | ესპანეთი | 3 | | ?, ვალენსია, სელტა |
| რომა, იუვენტუსი | ლაციო, პარმა | | | 4 | იტალია | 3 | | ფიორენტინა, ინტერი, მილანი |
| ბაიერნი, შალკე | დორტმუნდი, ლევერკუზენი | | | 4 | გერმანია | 3 | | უნიონი, ჰერტა, ფრაიბურგი |
| ნანტი, ლიონი | ლილი | | | 3 | საფრანგეთი | 3 | | სტრასბური, სედანი, ბორდო |
| მანჩესტერ იუნ., არსენალი | ლივერპული | | | 3 | ინგლისი | 3 | | ლიდსი, იფსვიჩი, ჩელსი |
| პსვ, ფეიენოორდი | აიაქსი | | | 3 | ჰოლანდია | 3 | | ტვენტე, როდა, უტრეხტი |
| სპარტაკი | ლოკომოტივი (მოსკოვი) | | | 2 | რუსეთი | 4 | | ანჟი, ტორპედო (მოსკოვი), დინამო (მოსკოვი), ჩერნომორეცი |
| სპარტა | სლავია (პრაღა) | | | 2 | ჩეხეთი | 4 | | ჟიჟკოვი, სიგმა, პრიბრამი, ლიბერეცი |
| ოლიმპიაკოსი | პანათინაიკოსი | | | 2 | საბერძნეთი | 2 | *აეკ* | პაოკ |
| ბოავიშტა | | პორტუ | | 2 | პორტუგალია | 2 | *მარიტიმუდ* | სპორტინგი |
| | ფენერბაჰჩე | გალათასარაი | | 2 | თურქეთი | 2 | *გაზიანთეფსფორი* | გენჩლერბირლიგი |
| | დინამო (კიევი) | შახტარი | | 2 | უკრაინა | 2 | *ცსკა (კიევი)* | დნიპრო |
| | რუსენბორგი | ბრანი | | 2 | ნორვეგია | 2 | *ვიკინგი* | ოდ გრენლანდი |
| | გრასჰოპერი | ლუგანო | | 2 | შვეიცარია | 2 | *სენტ გალენი* | სერვეტი |
| | სელტიკი | რეინჯერსი | | 2 | შოტლანდია | 2 | *კილმარნოკი* | ჰიბერნიანი |
| | ტიროლი | | | 1 | ავსტრია | 3 | *გრაცერი, რაპიდი (ვენა)* | კარნტენი |
| | | ანდერლეხტი | | 1 | ბელგია | 3 | *სტანდარდი, ბრიუგე* | ვესტერლო |
| | | კოპენჰაგენი | | 1 | დანია | 3 | *ბრონდბიუ, მიდტიულანდი* | სილკებორგი |
| | | ვისლა | | 1 | პოლონეთი | 3 | *ლეგია, პოგონი, პოლონია* | |
| | | სტიაუა | | 1 | რუმინეთი | 3 | *რაპიდი (ბუქ.), დინამო (ბუქ.), ბრაშოვი* | |
| | | ჰაიდუკი | | 1 | ხორვატია | 3 | *ვარტექსი, ოსიეკი, დინამო (ზაგრები)* | |
| | | ჰალმსტადი | | 1 | შვედეთი | 2 | *ელფსბორგი, ჰელსინგბორგი* | |
| | | ? | | 1 | უნგრეთი | 2 | *?, დებრეცენი* | |
| | | მაკაბი (ჰაიფა) | | 1 | ისრაელი | 2 | *მაკაბი (თელ ავივი), ჰაპოელი (თელ ავივი)* | |
| | | ინტერი (ბრატ.) | | 1 | სლოვაკეთი | 3 | *სლოვანი, პუხოვი, რუჟომბეროკი* | |
| | | მარიბორი | | 1 | სლოვენია | 2 | *ოლიმპია, ნოვა გორიცა* | |
| | | ომონია | | 1 | კვიპროსი | 2 | *აპოლონი, ოლიმპიაკოსი* | |
| | | ცრვენა ზვეზდა | | 1 | იუგოსლავია | 2 | *ობილიჩი, პარტიზანი* | |
| | | | ლევსკი | 1 | ბულგარეთი | 2 | *ლოკომოტივი, ცსკა (სოფია)* | |
| | | | ტორპედო | 1 | საქართველო | 2 | ლოკომოტივი, დინამო | |
| | | | სკონტო | 1 | ლატვია | 2 | ვენტსპილსი, დინაბურგი | |
| | | | ჰაკა | 1 | ფინეთი | 3 | *ჰიკ*, იოკერიტი, მიუპა | |
| | | | სლავია (მოზირი) | 1 | ბელარუსი | 3 | ბელშინა, ბატე, შახტიორი | |
| | | | შერიფი | 1 | მოლდოვა | 2 | ზიმბრუ, ნისტრუ (ოტაჩი) | |
| | | | რეიკიავიკი | 1 | ისლანდია | 2 | აკრანესი, ფილკირი | |
| | | | *სლოგა იუგომაგნატი | 1 | მაკედონია | 2 | პელისტერი, ვარდარი | |
| | | | კაუნასი | 1 | ლიტვა | 2 | ჟალგირისი, ატლანტასი | |
| | | | *ლევადია | 1 | ესტონეთი | 2 | ტრანსი, ფლორა | |
| | | | ბერი თაუნი | 1 | უელსი | 2 | ლანსანტფრეიდი, ქუიმბრან თაუნი | |
| | | | *არაქსი | 1 | სომხეთი | 2 | არარატი, მიკა | |
| | | | ბოჰემიანსი | 1 | ირლანდია | 2 | ლონგფორდ თაუნი, შელბურნი | |
| | | | *ვალეტა | 1 | მალტა | 2 | ბირკირკარა, სლიმა | |
| | | | *ლინფილდი | 1 | ჩრდ. ირლანდია | 2 | გლენტორანი, გლენავონი | |
| | | | *ვაგური | 1 | ფარერები | 2 | გოტუ, ტორსჰავნი | |
| | | | *დუდელანჟი | 1 | ლუქსემბურგი | 2 | გრევენმახერი, ეტელბრიუკი | |
| | | | *შამქირი | 1 | აზერბაიჯანი | 2 | შაფა, ნეფთჩი | |
| | | | | | ლიხტენშტაინი | 1 | ვადუცი | |
| | | | *ვლაჟნია | 1 | ალბანეთი | 2 | ტირანა, დინამო (ტირანა) | |
| | | | *ჟელეზნიჩარი | 1 | ბოსნია | 2 | სარაევო, ბროტნიო | |
| | | | | | ანდორა | 1 | სანტა კოლომა | |
| | | | | | სან მარინო | 1 | კოსმოსი | |

ინტერტოტოს თასის 3 გამარჯვებული

* — ქუთაისის „ტორპედოს“ სავარაუდო მეტოქეები

*დახრილი შრიფტით თბილისის „ლოკომოტივის“ სავარაუდო მეტოქეები, დანარჩენი — თბილისის „დინამოს“ სავარაუდო მეტოქეები*

# ჯონი და ომი

## შალამბერიძემ ზღვაზე უარი თქვა



ჯონი შალამბერიძის (წინა პლანზე) გოლმა „ლოკომოტივს" საჩემპიონო შანსები შეუმცირა

„...მას თითქმის ყველა პოზიციაზე ძალუძს თამაში. საქმეს მეტი სერიოზულობით რომ ეკიდებოდეს, მეტად საჭირო და შეუცვლელი იქნებოდა" — თქვა ოთარ გაბელიამ შალამბერიძეზე.

„...ნიჭიერი, დიდი გაქანების მოთამაშეა, თუ თავს მიხედა, კარგი მომავალი ელის" — დაარტყა ბეჭედი ყოფილი თანაგუნდელისა და კოლეგის ნათქვამს ვლადიმერ გუცაევმა.

და დღეს ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჯონი შალამბერიძემ მხოლოდ ნაწილობრივ გაამართლა მასზე გაცემული ავანსები.

მიზეზი ბევრი რამ შეიძლება იყოს. მისი ამაყი ხასიათი, ტრავმები და ბრძოლა საკუთარ თავთან, ცხოვრებასთან, მეტოქესთან და მსაჯებთან.

ოჩამჩირეში დაბადებულ-გაზრდილს დღემდე თბილისურ „მრეტებში", სენაკის „ეგრისში", თბილისურ თსუ-ში, ფოთის „კოლხეთსა" და ქუთაისის „ტორპედოში" უთამაშია. „კარგმა" ცხოვრებამ ერთი ხანობა ყირგიზეთში, „ალაი გულჩაშიც" აბურთავა.

იმ დროს ქართული ფეხბურთიდან მოკვეთილს სხვა გზა არ ჰქონდა. ოჯახიც თავისას ითხოვდა. კი მაგრამ, რა დააშავა შალამბერიძემ ისეთი, რომ შუა აზიაში გადასახვეწად გაუხდა საქმე?

1995 წელს გორში, „დილა" — „ეგრისის" დრამატულ მატჩში მოედნიდან გაძევებული ფედერაციის კომისარს დაეტაკა და...

შალამბერიძე საკადრისად თსუ-ში ათამაშდა. სწორედ სტუდენტურ კლუბში ბურთაობით მიიქცია პირველად ყურადღება. გამოცდილების მატებასთან ერთად ოსტატობაც აიმაღლა. ფოთში გადაბარგებულმა კი ბოლომდე იწყო გახსნა.

— შარშანწინდელი სეზონი მართლაც ჩინებულად გავასრულეთ. რომ არა წაგება ბოლო ტურში სტუმრად „ბათუმთან", ევროტურნირების საგზურს დავიბევებდით. ალბათ, „კოლხეთი" არასდროს ყოფილა ასე ერთ მუშტად შეკრული და დაგეშილი გუნდი. „ფაზისიდან" გუნდი არ გაგვიშვია გაუმწარებელი. ჩვენ ვთამაშობდით მხოლოდ საკუთარი თავის იმედით, სუფთად, როგორც იტყვიან და შედეგიც გვქონდა.

„კოლხეთმა" მეთორმეტე ეროვნულის ბოლო ეტაპზეც სცადა იგივე გაემეორებინა. „ლოკომოტივს" ჩემპიონობა, „ვიტ ჯორჯიას" პრიზიორობა, ფაქტობრივად, ფოთელებმა დააკარგვინეს, მაგრამ მერე გუნდმა გაუთვალისწინებელი ქულების ფანტვა დაიწყო და...

—მოდით, ყველაფერი უეცარ ჩავარდნას და „კოლხეთის" გაახალგაზრდავების პროცესს დააბრალეთ. ახლა სათქმელი მეტიც არაფერია...

„კოლხეთიდან" „კოლხეთამდე" იყო ქუთაისის „ტორპედო". ჯონი ვერც ჩემპიონი გახდა და მხოლოდ 13 თამაშით შემოიფარგლა.

— ბულგარეთში, მოსამზადებელ ეტაპზე ცუდადა გავხდი. მენინგიტის ვირუსმა ძალების სრულად დახარჯვის საშუალება არ მომცა. მერე თითქოს მოვღონიერდი, ავთამაშდი, მაგარმ ისიც ვიგრძენი, რომ ჩემთვის „ტორპედოსთან" განშორება უმჯობესი იქნებოდა. შევედი დავით ყიფიანთან, მისი რჩევაც მოვისმინე და „კოლხეთს" დავუბრუნდი. მჯერა, სწორედ მოვიქეცი.

დღეს ის „დინამოში" ვარჯიშობს. ორ კლუბს შორის შეთანხმება თითქმის მიღწეულია. შალამბერიძეც ათეზის ჩემპიონთათვის სასურველ მოთამაშედ ითვლება.

— 25 წლის ვარ. აქამდე კიდევ შეიძლებოდა, დაუფიქრებელი ნაბიჯები გადამედგა, მაგრამ... ოჯახი თბილისში მყავს, მეყო ალმა-დალმა წოწიალი. ოჯახთან ახლოს ყოფნა მსურს. თანაც ტიტულის მოგება მწადია და კარიერის უცხოეთში გაგრძელებაზეც არ ვიტყოდი უარს.

ამიტომ ვამჯობინე „კოლხეთს" „დინამო". კარგი პირობები, საკუთარი ბაზა, მაღალი მიზნები. წინსვლისთვის საქართველოში უკეთესი რაღა ვინატრო?

უცნაურია, ზღვისპირელმა კაცმა ზღვისპირეთს დედაქალაქი არჩია. მას პირობები ფოთშიც არ მოაკლდებოდა. თანაც „კოლხეთში" კიდევ კარგა ხანს დარჩებოდა ლიდერად.

— არა, ექსპერიმენტების დრო აღარ მაქვს. როგორი პირობებიც უნდა შემიქმნან ფოთში, „კოლხეთი" „დინამოს" მაინც ვერ შეედრება. მე კი ფეხბურთის თამაში მინდა.

შეტევების ორგანიზატორი დასჭირდებოდა სოსო ფილიას და ჯონი იქ იყო. „კოლხეთს" საყრდენი უნდოდა და ტყებუჩავას ჯონი ჰყავდა. დაშავდა ტორჩინავა და მწვრთნელებმა ისევ ჯონისკენ გაიხედეს. მანაც ლიბეროობა შეითავსა. გოლის გატანა გაჭირდებოდა და მშველელიც ჯონი იყო. მისი შორეული და ზუსტი დარტყმები ხშირად აღწევდა მიზანს.

— ძლიერი დარტყმა თავიდანვე დამყვა, ხოლო სიზუსტე ვარჯიშებმა შემძინა. წვრთნის დასრულების შემდეგ მოედანზე ვრჩებოდი და სხვადასხვა პოზიციებიდან კარში ვურტყამდი.

ასე იქცა შალამბერიძე ეროვნულ ჩემპიონატში უნივერსალურ მოთამაშედ. დღეს გივი ნოდიას ჰყავს გუნდისთვის სასარგებლო ფეხბურთელი, ხოლო სოსო ფილიას ჯონის შემცვლელის პოვნა მოუწევს. მისებრ მეომარი და ყველა ადგილზე მოთამაშე, თანაც შემსრულებელი, ძნელი საპოვნია.

...თუ საქმეს მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდება... იმეორებს ოთარ გაბელია.

...მან უნდა ითამაშოს... ისევ სჯერა ვლადიმერ გუცაევს.

ჯონი კი აღმართების დასაწყისშია. მის ცხოვრებაში, რომელსაც უკვე დიდი ხანია ეომება ახალი ეტაპი იწყება. ისევ ბრძოლა.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ჰენრი, ჰქენი საქმე!

## გვასწავლე ტრანსფერები და რამერუმეები

**კაი ხალხი** მუშაობს ამ უეფაში, ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან შემოსულ თანხას ღარიბ წევრ ასოციაციებსაც ურიგებენ და სხვა წვრილ-წვრილ შეღავათებსაც აკეთებენ. საგანგებოდ შექმნილი აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს ფუნქციებს ახლა უეფას განვითარების კომიტეტი ითავსებს.

სწორედ ამ კომიტეტის ეგიდით ტარდება პროგრეს კურსები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის. პირველი ორი ციკლი უკან მორჩა, ახლა კი პროგრეს კურსები III-ის ჯერია.

გუშინ სასტუმრო „თორში" ახალი ციკლის პირველი ეტაპი დაიწყო — პროგრეს კურსები ადმინისტრაციულ თემაზე. ლექციების წასაკითხად ლუქსემბურგის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჰენრი რიომერი გვეწვია, რომელიც უეფას ადმინისტრაციული კომიტეტის თავჯდომარეცაა. მისი მსმენელები სფფ-ის თანამშრომლები და ქართული კლუბების ხელმძღვანელები არიან. ჰენრი რიომერმა გუშინ ორ საკითხზე დამოძღვრა ჩვენებურები — ახალი სატრანსფერო სისტემა და კლუბების ლიცენზირება. დღეს კი სტუმარი კიდევ ორ თემაზე ისაუბრებს — მენეჯმენტ-მარკეტინგი და ადგილობრივ-საერთაშორისო მატჩების ორგანიზება.

ასე რომ, ჩვენ საფეხბურთო ადმინისტრაციულ მუშაკებს მზრუნველი ხელი და პატივცემული ხალხის რჩევა-დარიგება ნაღდად არ აკლიათ — პროგრეს კურსების წინა ციკლზე თვით უეფას გენერალური მდივნის თანაშემწე მარკუს შტუდერმაც მოიცალა მათთვის.

**დავით თავართქილაძე**



პროგრეს კურსები გაგვიხშირდა

# სიონი გამგებლის გამოჯანმრთელებას ელის

**25 ივნისს** შეიკრიბება და მომავალი სეზონისთვის მზადებას დაიწყებს ბოლნისის „სიონი". ჯერჯერობით გაურკვეველია კლუბიდან წამსვლელთა ვინაობა. თუმცა, სავარაუდოდ, გუნდს კონსტანტინე მეტრეველი და „ლოკომოტივიდან" ნათხოვარი სულიკო დავითაშვილი დატოვებენ. „სიონს", ალბათ, გაისადაც გიორგი ყიფშიძე და ფირუზ რეხვიაშვილი გაწვრთნიან, კიდევ ერთი მწვრთნელი თენგიზ კუბლაშვილი კი „ზორვეტში" გადაბარგდა. როგორც მოგეხსენებათ, წინა ჩემპიონატში ბოლნისურ კლუბს სპარტაკ არჩვაძე თავკაცობდა, რომელმაც ავადმყოფობის გამო მუშაობის გაგრძელება ვერ შეძლო და ახლაც მშობლიურ საჩხერეშია. ჯერჯერობით არაფერია ცნობილი იმაზეც, თუ ვინ დაემატება „სიონს" მომავალ ჩემპიონატში. საბოლოოდ ყველაფერი ორშაბათს უნდა გაირკვეს, როდესაც ბოლნისის გამგებელი, ახალნაოპერაციევი ზურაბ ჯაფარიძე გუნდს შეხვდება.

**კახა შალამბერიძე**

# გირჩევთ!

## ცენტრი ყურადღების ცენტრში

**დაახლოებით** ერთი წლის წინ თბილისში გაიხსნა სპორტსმენთა ფუნქციურ-დიაგნოსტიკური ცენტრი.

რა გაკეთდა, როგორია სამომავლო გეგმები, ამის თაობაზე გთავაზობთ ცენტრის დირექტორის **ვალერი ახალკაცის** ნაუბარს:

— ეს ცენტრი იაპონელი მეგობრების დახმარებით დავაარსეთ. ჩვენი მთავარი მიზანი სპორტსმენთა საექიმო კონტროლია, რაც ასე მნიშვნელოვანია დღევანდელ სპორტში. განსაკუთრებული ყურადღება ფეხბურთზე გვაქვს გადატანილი, თუმცა ამ ფაქტმა, თითოოროლა გამონაკლისის გარდა, რატომღაც გამოხმაურება ვერ ჰპოვა...

ჩვენ გამოკვლევებს ძირითადად ორ ნაწილად ვატარებთ — ლაბორატორიულ და საწვრთნელ პირობებში. გაგვაჩნია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებები და გამოკვლევების მეთოდები: ანთროპომეტრია, სომატოსკოპია, სპირომეტრია, ელექტროკარდიოგრაფია, ველოერგომეტრია, გულისა და მუცლის ღრუს ექოსკოპია...

ფეხბურთელის გაწვრთნა შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან: ტაქტიკურ-ტექნიკური, ფსიქოლოგიური და ფუნქციური. თუმცა, რა დონემდეა განვითარებული ეს სამი ფაქტორი ქართულ ფეხბურთში, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. გაუგებარია, რატომ აყენებენ უკანა პლანზე სამედიცინო კონტროლს. ეს ხომ თანამედროვე ფეხბურთში ერთ-ერთი უპირველესი და აუცილებელი რამაა. თუმცა ქართველი მწვრთნელები ან არ აქცევენ ყურადღებას ამ საკითხს, ან ვერ ერკვევიან მასში. თავად მე ეს უკანასკნელი უფრო მგონია...



ვალერი ახალკაცი

ფაქტია, რომ ქართული კლუბები ვერანაირ წარმატებას ვერ აღწევენ ევროტურნირებზე. თავად განსაჯეთ, რა წარმატებას უნდა მიაღწიოს იმ კლუბმა, რომლის ფეხბურთელთა ფიზიკური კონდიციები არანაირად არ შეესაბამება თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნებს...

განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ ბავშვთა ფეხბურთზე. დამეთანხმებით, რომ ბავშვთა ფეხბურთი დღეს სავალალო მდგომარეობაშია. საქართველოში დაახლოებით 25 000 ბავშვია დაკავებული სპორტის ამ სახეობით. მათთან მომუშავე მწვრთნელთა უმეტესობა კი საერთოდ ვერ ერკვევა, რამხელა როლი აქვს მედიცინას ფეხბურთში. მათ ისიც კი არ იციან, რომ 8-დან 12 წლამდე და 12-დან 15 წლამდე ასაკის მოზარდებთან აბსოლუტურად სხვადასხვანაირი მიდგომაა საჭირო. ჩვენ დაახლოებით 400-მდე ბავშვი გავსინჯეთ და სხვადასხვა პათოლოგიებთან ერთად გამოვლინდა გულის მანკის რამდენიმე შემთხვევაც. აღარაფერს ვამბობ სქოლიოზზე, ბრტყელტერფიანობასა და სხვა ამგვარ დაავადებებზე...

ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ძალიან დიდი სურვილი მაქვს და მზად ვარ, შევხვდე ნებისმიერ მსურველს, გავუზიარო ჩემი ცოდნა და საფუძველი ჩავუყარო მათთან თანამშრომლობას. დამერწმუნეთ, ამის გარეშე ქართული ფეხბურთი წინ ვერ წავა.

ენდეთ ჩვენს რეკომენდაციებს სამკურნალო-პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო ღონისძიებების, საწვრთნო პროცესისა და სპორტული რეჟიმის დაგეგმვის, სწორი კვებისა და სპორტული ჰიგიენის და გაწვრთნილობის დინამიკის შესახებ. ეს თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ გვქონდა შეხვედრა სფფ-ს ხელმძღვანელობასთან და მათგან სრული მხარდაჭერა გვაქვს. იმედია, ასევე დაინტერესებას გამოიჩენენ ქართული კლუბები და საფეხბურთო სკოლები.

**კახა შალამბერიძე**

# ავაზა ჩემპიონია

**კიდევ** ერთ ლამაზ ტურნირს უმასპინძლა შევარდენის სტადიონმა. თბილისის პირველობაზე 1990 წელს დაბადებული ნორჩი ფეხბურთელები გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ჩემპიონობა არავის დაუთმო მწვრნელ გია ქუმსიაშვილის „ავაზა 90"-მა. ავაზელებმა ფინალში „დინამო 1" დამარცხეს. მესამე ადგილი „შევარდენს" ერგო. შევარდენებმა „დინამო II"-ს მოუგეს.

ფოტოზე პატარა ჩემპიონები და მათი მწვრთნელი არიან აღბეჭდილნი. ფინალი რამდენიმე წუთის დამთავრებულია და სიხარულის დროც არის. ქალაქის ჩემპიონები კი გახდნენ:

*გიორგი ემხუარი, ლაშა ძაძამია, მიხეილ ფეზუაშვილი, ვანო ჭაბუკიანი, ირაკლი შიოლაშვილი, თორნიკე მახარაშვილი, ლევან მაჭავარიანი, ილია გურგენიძე, ნიკუშა წეროძე, გიორგი ბოჭორიშვილი, დათო კაკულია, ლაშა ბრეგვაძე, სოსო ქინქლაძე, თემურ წულაია, შაკო პაპოშვილი, მიხეილ ნიკოლაიშვილი და მიხეილ ჭოხონელიძე.*



ჩემპიონი „ავაზა" და ჩემპიონი ავაზელები

ეროვნული ბიბლიოთეკა



დმიტრი ლოსკოვი და ზაზა ჯანაშია

# დაასხით, ბიჭებო!

## ლოკომოტივმა მეოთხე თასი დალია

## ჯანაშია: არ მიყვარს ღვინო და პენალტები

### რუსეთი

**თასის ფინალი**

**ლოკომოტივი 1:1დ.დ. (პენ.4:3, 1:1) ანჟი**

0:1 სირხაევი (89), 1:1 ჯანაშია (90)

პენალტები: 0:1 აგალაროვი, 1:1 იზმაილოვი, 1:1 აკაევი (მეკარე), 2:1 ლეკხეტო, 2:2 სირხაევი, 2:2 ჩუგაინოვი (მეკარე), 2:2 რახიმიჩი (ააცილა), 3:2 მამინოვი, 3:3 ისკოვიჩი, 4:3 ლოსკოვი

ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ნიჟეგოროდოვი, სენნიკოვი, ლეკხეტო, ევსეევი (ლავრიკი 91), ჩუგაინოვი, იზმაილოვი, მამინოვი, ლოსკოვი, ობიორა (სარქისიანი 75), ბუზნიკინი (ჯანაშია 46)

მწვრთნელი: იური სიომინი

ანჟი: არმიშევი, პერემენინი, ისკოვიჩი, ბილონგი, სტოიკოვიჩი (აკაევი 91), რახიმიჩი, აგალაროვი, სირხაევი, ადიევი (ალექსეევი 75), რამაზანოვი, რანჯელოვიჩი (ტებლოევი 90)

მწვრთნელი: გაჯი გაჯიევი

გაფრთხილება: სტოიკოვიჩი, ალექსეევი, სარქისიანი, აგალაროვი

8 000 მაყურებელი

**პროვინციას** მართლაც თავისი ხიბლი აქვს. აბა, წარმოვიდგინოთ, გუშინწინ რუსეთის თასის ფინალში დედაქალაქურ გუნდებს რომ ეთამაშათ ყველაფერი უფრო ჩვეულებრივი და უემოციო იქნებოდა. დიდი-დიდი, რომელიმე მოსკოვური გუნდის არყით გალეშილ ფანებს ტრიბუნებზე ომი გაემართათ და იქაურობა დაელეწათ. აი, კავკასია კი სხვა საქმეა.

ოთხშაბათს „პეტროვსკი პარკში" დაღესტნელები აშკარად სჭარბობდნენ მასპინძლებს და თავის „ანჟისაც" მხურვალედ ქომაგობდნენ.

როცა სირხაევმა გაიტანა, ერთმა ტრიბუნაზე ცეცხლოვანი ლეკურიც წაიცეკვა, ხოლო ჯანაშიას გამათანაბრებელს დაახლოებით ისეთი რეაქცია მოჰყვა, „მიმინოში" ფრუნზიკ მკრტჩიანის პერსონაჟს რომ დაემართა, სასამართლოში ვალიკო მიზანდარის თავდაპირველი განაჩენის მოსმენისას.

მატჩი კი დრამატული გამოდგა. პირველ ტაიმში მახაჩყალელები მეტს უტევდნენ. მარტო სირხაევს სამჯერ გატანა შეეძლო, ერთხელ ბურთი მოსკოველთა კარის ხარიხასაც მოხვდა. მეორე ტაიმში კი რკინიგზელებმა თამაში დაალაგეს, რაც მათი მწვრთნელის იური სიომინის გონივრულ შეცვლებს მოჰყვა. მინდორზე ზაზა ჯანაშიასა და სარქისიანის გამოჩენამ „ლოკომოტივს" აშკარად არგო.

89-ე წუთზე სირხაევმა მოსკოველი მცველების შეუთანხმებლობით ისარგებლა, მეკარე ნიგმატულინთან პირისპირ გავიდა და ანგარიში გახსნა. დაღესტანში ალბათ უკვე დიდი ლხინისთვის ემზადებოდნენ, მაგრამ მსაჯის წამატებულ დროში „ლოკომოტივის" მრავალსვლიანი კომბინაცია ჯანაშიას ეფექტური გოლითა და ჩვეული მალაყით დამთავრდა.

დამატებითი დრო უშედეგოდ ჩამთავრდა, პენალტებით კი მოსკოველებმა 5:4 მოიგეს.

ამგვარად, „ლოკომოტივმა" მეოთხედ მოიპოვა რუსეთის თასი. ამ მიღწევას უახლოეს ხანში ალბათ ვერავინ გაიმეორებს. მით უმეტეს, რომ რკინიგზელები ბოლო ექვს წელიწადში მეხუთედ თამაშობდნენ ფინალში.

რუსეთის ძველი თასი, რომელიც 1993-2000 წლებში თამაშდებოდა, მოგეხსენებათ, „ლოკომოტივს" სამუდამოდ დაუტოვეს. ახალი, 15 კილოგრამიანი ბროლ-ვერცხლის პრიზი კი წლეულს პირველად გათამაშდა და ისიც რკინიგზელთა ბაკოვკის ბაზაზე დაიდებს ბინას.

თასი გასახდელში ჩასვლისთანავე გაავსეს და როგორც ვარაუდობდნენ, მასში შვიდი ბოთლი შამპანური ჩავიდა. პირველად ამ საქმის ყადრის მცოდნე იური სიომინს შეუსვამს, მერე კი წრეში დაუტრიალებიათ. შემდეგ მხიარულება რესტორანში გაგრძელდა.

მატჩის გმირად და საუკეთესო მოთამაშედ ქართველი ზაზა ჯანაშია დაასახელეს. „სპორტ ექსპრესმა" მას და მეკარე ნიგმატულინს ყველაზე მაღალი ნიშანი დაუწერა და მის ნალვაწს ასეთი კომენტარი დაურთო: „ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა. ბოლოს ერთ ეპიზოდში მეტოქე მცველებს საჯარიმოში თამაშის წესი დაარღვევინა, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა."

აი, რუსული გაზეთის სახელდახელო ინტერვიუც ჯანაშიასთან:

— მართალი გითხრათ, ასეთი მნიშვნელოვანი გოლი ჯერ არ გამეტანა — აღიარა ზაზამ — „ანჟი" კარგი გუნდია, მაგრამ ასეთ თამაშს მათგან არ ველოდი. პირველ ტაიმში სტუმრებს ოთხჯერ უნდა გაეტანათ, მაგრამ ნიგმატულინი სასწაულებს ახდიოდა, მერე კი ცნობილი საფეხბურთო კანონი ამოქმედდა: არ გაიტან, გაგიტანენ.

**— დამატებით დროში რატომ მოუკელით?**

— ძალიან ცხელოდა და ძლივს ვსუნთქავდით. ამიტომაც დამატებითი ძირითადზე უსახური გამოდგა.

**— მსაჯობაზე რას იტყვით?**

— ცუდად არ უმსაჯიათ. თუმცა, ვფიქრობ, როცა მცველმა საჯარიმოში მაისურაზე მომქაჩა, პენალტი უნდა დაენიშნათ.

**— პენალტების დამრტყმელთა სიაში რომელი ეწერეთ?**

— ბოლო. არ მიყვარს თერთმეტმეტრიანების შესრულება და კარგა ხანია, აღარ დამირტყამს. უფრო ზუსტად, მას შემდეგ, რაც „სპარტაკს" ვერ გავუტანე.

**— მოგებას როგორ აღნიშნავთ?**

— არანაირად. რესტორანში გუნდთან ერთად ცოტა ხანს დავჯდები. წვენს, მინერალურ წყალს დავლევ და შინ წავალ.

**— ნუთუ ერთ ჭიქა ღვინოსაც არ გადაჰკრავთ?**

— არა. სმა არ მიყვარს. თანაც 25-ში „სპარტაკთან" გვაქვს სათამაშო.

**— „ლოკომოტივმა" უკვე მეოთხედ მოიგო თასი. რით ახსნით ასეთ გასაკვირ მიღწევას?**

— ეს ჩვენი ტურნირია. მგონი, ამით ყველაფერია ნათქვამი.

**სოლომონ გულისაშვილი**

### ესპანეთი

**თასის 1/2 ფინალი. I მატჩი**

**ატლეტიკო 0:2 სარაგოსა**

0:1 აკუნია (33პ), 0:2 ჟამელი (68)

ატლეტიკო: ტონი ხიმენესი, ფაგიანი, აგილერა (კუბილიო 80), ჰიბიჩი, ამაია, ნიეგუესი (დანი 75), ლუკა, მენა, უგო ლეალი, სალვა, ფერნანდო ტორესი (ვიკი 34)

სარაგოსა: ლაინესი, ფერონი, სუნდგრენი, რებოსიო, აგუადო, პაბლო, გარიტანო (გურენკო 67), ხოსე იგნასიო, აკუნია, იორდი, ჟამელი (მონტენეგრო 85)

გაფრთხილება: ხოსე იგნასიო, ფერონი, აგილერა

გაძევება: ამაია (31)

30 000 მაყურებელი

**თასის** ნახევარფინალამდე სამი დღით ადრე მადრიდის „ატლეტიკომ" პრიმერადივიზიონში დაბრუნების შანსი დაკარგა. საქმე იქითკენ მიდის, რომ დედაქალაქელები სამეფო თასის მიღმა დარჩებიან. გუნდი შინ 0:2 რომ წააგებს, სტუმრად რისი იმედი უნდა ჰქონდეს.

პირველი ნახევარფინალური მატჩი ნაღდ სამხრეთულ სტილში გაიმართა, ანუ ქომაგებმა გვარიანად აურიეს.

თამაში პირველად მეოცე წუთზე შეწყდა. ყველაზე თავზეხელაღებულმა გულშემატკივრებმა, რომლებიც „ფრენტე ატლეტიკოს" სახელით არიან ცნობილნი, მინდორზე მაშხალებისა და ჩოგბურთის ბურთების სროლა დაიწყეს. ამ დროისთვის ანგარიში ჯერ არ გახსნილიყო და შფოთისთავთა წყრომის მიზეზი, ალბათ, თავში ნახსენები პრიმერადივიზიონში გადაუსვლელობა გახლდათ.

სანამ მოედნიდან ზედმეტი საგნები გაიტანეს, ოთხი წუთი გავიდა და მსაჯმა ფერნანდო კარმონა მენდესმა მატჩის გაგრძელება ბრძანა. თუმცა თამაში მხოლოდ იმიტომ გაგრძელდა, რომ ისევ შეწყვეტილიყო. „ფრენტე ატლეტიკოს" ჩოგბურთის ბურთების მარაგი ჯერ არ ამოსწურვოდა.

ამჯერად მოედნის გაწმენდას ორი წუთი დასჭირდა და მშვიდად ჩამთავრდა. თუმცა ისიც აღვნიშნოთ, რომ ამ სიმშვიდეს მასპინძელთათვის ხეირი არ მოუტანია.

მატჩის მეორედ განახლებისთანავე, მადრიდელმა ივან ამაიამ ზედ საჯარიმოს კიდესთან სარაგოსელი იორდი წააქცია და წითელი ბარათი მიიღო. დაინიშნა საჯარიმო დარტყმაც, რომელიც ტორო აკუნიამ გოლად აქცია.

სარაგოსელთა მეორე გოლი მირსად ჰიბიჩის უხეშ შეცდომას მოჰყვა. მადრიდელ მცველს მეკარე ტონი ხიმენესისთვის ბურთის დაბრუნება სურდა, მაგრამ პასი ჟამელიმ ჩაჭრა და საპასუხო მატჩის წინ ორბურთიანი მარაგი დააგროვა.

საპასუხო მატჩი კი ხვალ გაიმართება და გამარჯვებული ფინალში „სელტა" — „ბარსელონას" წყვილში გამარჯვებულს შეხვდება. ფინალს 30 ივნისს სევილია უმასპინძლებს.

**გიორგი დარჯანია**



„ფრენტე ატლეტიკომ" „ატლეტიკო" შერისხა

### იუგოსლავია

34-ე ტური: პარტიზანი — რადნიჩკი (ნიში) 2:1; ჩუკარიჩკი — ჰაიდუკი 3:1; ზემუნი — ობილიჩი 1:1; ვოივოდინა — ბუდუჩნოსტი 4:0; ოფკ — სარტიდი 1:1; სუტიესკა — რადნიჩკი (კრაგუევაჩი) 2:3; რადი — ნაპრედაკი 4:2; ზეტა — ჟელეზნიკი 3:2; ცრვენა ზვეზდა — მილიციონარი 4:1

**„პარტიზანი"** თუ „ცრვენა ზვეზდა", „ცრვენა ზვეზდა" თუ „პარტიზანი"...

ცხრათვიანი დამღლელი მარათონი გუშინწინ იუგოსლავიაშიც დასრულდა. ჩემპიონის ვინაობა კი, ფაქტობრივად, ბოლოსწინა ტურში გაირკვა, როდესაც ჩემპიონობისთვის მებრძოლმა ბელგრადის „პარტიზანმა" კულაში „ჰაიდუკთან" 4:4 ითამაშა, „ცრვენა ზვეზდა" კი ამ დროს მეტოქეს 9:1 ანგრევდა.

„ცრვენა ზვეზდა" ჩემპიონია! ზედიზედ მეორედ გახდნენ სლავოლიუბ მუსლინის შეგირდები იუგოსლავიაში უძლიერესნი. კონკურენტი კი, როგორც ყოველთვის, „პარტიზანი" გახლდათ. როგორც უკვე ვთქვით, მათი ბრძოლა, დიახ, ბრძოლა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, 33-ე ტურში დროებით დასრულდა, ახალ ჩემპიონატამდე. მანამდე გადაჭრით ვერავინ ამბობდა, ვინ იზეიმებდა ჩემპიონობას.

„ძალიან ბედნიერები ვართ, ჩვენ ხომ „პარტიზანი" დავასაფლავეთ" — ყურადღება მიაქციეთ ჩემპიონთა თავკაცის სიტყვებს. „მესაფლავეები" ხომ „პარტიზანის" მეტსახელია.

„წითელმა ვარსკვლავებმა" გავარდნილ „მილიციონარს" უკვე პირველივე ტაიმში მოუთავეს საქმე, როცა მიხაილო პიანოვიჩმა, ბრანკო ბოშკოვიჩმა და საშა ზორიჩმა სამი უპასუხო ბურთი გაუტანეს მეტოქეს. და დაიწყო, „ცრვენა ზვეზდაზე" შეკრებილმა 20 000 ქომაგმა ფოიერვეკი მოაწყო. უკვე ცხადი გახლდათ — მათმა საყვარელმა გუნდმა მოსისხლე მტერ „პარტიზანს" ჩემპიონობა არ დაანება.

„ცხადია, გვიხარია, მაგრამ ეს უნდა დავივიწყოთ, წინ ჩემპიონთა ლიგა და ახალი სეზონი გველის. ბიჭებს ცოტა ხნით შვებულებაში გავუშვებ, მერე კი ინტენსიურ მზადებას დავიწყებთ, „ცრვენა ზვეზდა" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში უნდა მოხვდეს", დასძინა შამპანურით გაწუწულმა ბედნიერმა მუსლინმა.

... იუგოსლავიის ელიტარული ლიგა იტალიის მსგავსად ოთხმა გუნდმა დატოვა. ეს უიღბლო ოთხეული „ბუდუჩნოსტი", „ნაპრედაკი", ნიშის „რადნიჩკი" და „მილიციონარია".

**გიორგი გუგაძიძე**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცრვენა ზვეზდა | 34 | 28 | 4 | 2 | 93:20 | 88 |
| პარტიზანი | 34 | 28 | 2 | 4 | 94:36 | 86 |
| ობილიჩი | 34 | 19 | 6 | 9 | 53:37 | 63 |
| სარტიდი | 34 | 17 | 3 | 14 | 49:47 | 54 |
| ოფკ | 34 | 15 | 5 | 14 | 52:45 | 50 |
| ვოივოდინა | 34 | 13 | 8 | 13 | 51:36 | 47 |
| სუტიესკა | 34 | 14 | 4 | 16 | 52:64 | 46 |
| ჟელეზნიკი | 34 | 12 | 8 | 14 | 49:56 | 44 |
| რ. კრაგუევაჩი | 34 | 13 | 5 | 16 | 38:52 | 44 |
| ჩუკარიჩკი | 34 | 13 | 4 | 17 | 42:50 | 43 |
| ჰაიდუკი | 34 | 12 | 6 | 16 | 45:51 | 42 |
| ზემუნი | 34 | 11 | 9 | 14 | 37:46 | 42 |
| ზეტა | 34 | 11 | 9 | 14 | 38:50 | 42 |
| რადი | 34 | 12 | 5 | 17 | 49:54 | 41 |
| *ბუდუჩნოსტი* | *34* | *11* | *5* | *18* | *29:48* | *38* |
| *ნაპრედაკი* | *34* | *8* | *10* | *16* | *38:63* | *34* |
| *რ. ნიში* | *34* | *9* | *5* | *20* | *30:59* | *32* |
| *მილიციონარი* | *34* | *8* | *6* | *20* | *29:50* | *30* |

### ლიტვა

მე-17 ტური: ინკარასი — გელეჟინისი 0:2; ვეტრა — ეკრანასი 0:0; ატლანტასი — საკალასი 3:0; ჟალგირისი — ნევეჟისი 4:2; კაუნასი — დაინავა 6:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაუნასი | 17 | 13 | 3 | 1 | 40:5 | 42 |
| ატლანტასი | 16 | 12 | 2 | 2 | 34:13 | 38 |
| ჟალგირისი | 17 | 10 | 4 | 3 | 28:17 | 34 |
| ეკრანასი | 17 | 7 | 5 | 5 | 26:16 | 26 |
| ნევეჟისი | 17 | 5 | 6 | 6 | 13:19 | 21 |
| ინკარასი | 17 | 5 | 5 | 7 | 20:20 | 20 |
| გელეჟინისი | 17 | 5 | 3 | 9 | 19:20 | 18 |
| საკალასი | 18 | 4 | 5 | 9 | 17:30 | 17 |
| ვეტრა | 17 | 3 | 3 | 11 | 15:35 | 12 |
| დაინავა | 17 | 2 | 2 | 13 | 15:52 | 8 |

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### კონკაკაფი

**V ტური**

**ჰონდურასი 3:1 მექსიკა**

1:0, 2:0, 3:0 პავონი (32, 55, 64პ), 3:1 ვ. რუისი (86)

ჰონდურასი: ვალადარესი, ს. კაბალიერო, მ. რეიესი, კლავასკინი, ტურსიოსი (ლეონი 76), ა. გერერო, პინედა, გუევარა (ე. სუაზო 84), ნ. მედინა, დ. სუაზო, კ. პავონი (მ. ნუნიესი 75)

მექსიკა: ხ. კამპოსი, ს. კარმონა, სუარესი, მარკესი, დავინო, პარდო, ტორადო (სეპედა 52), ვალდესი (აბუნდისი 46), მ. რუისი, ლ. ერნანდესი (ვ. რუისი 72), ბორგეტი

50 000 მაყურებელი

**აშშ 2:0 ტრინიდადი და ტობაგო**

1:0 რაზოვი (2), 2:0 სტიუარტი (20)

აშშ: კელერი, ჩერუნდოლო, რეგისი, პოპი, აგოსი, სანე, არმასი, კ. რეინა, ე. სტიუარტი, რაზოვი (ჯ. მური 71; ჯ. ობრაიენი 88), კიროვკა

ტრინიდადი და ტობაგო: კ. ისი, მ. ენდრიუსი, ლოურენსი, ელკოკი, დეილ სონდერსი, ფარინგტონი (ე. ჯონი 46), იგი, რაპიმი (დვარიკა 55), ს. ჯონი (ტროტმანი 74), იორკი, ლატაპი

31 211 მაყურებელი

**კოსტა რიკა 2:1 იამაიკა**

1:0 მარინი (4), 1:1 ლოუი (10), 2:1 ვანჩოპე (38)

კოსტა რიკა: ლონისი, მარინი, ჟ. მარტინესი, პარქსი, დრუმონდი, კასტრო, სოლისი, ვ. ლოპესი, რ. ფონსეკა, ვანჩოპე, მედფორდი

იამაიკა: რიკეტსი, გულისონი, ფ. სინკლერი, ჯ. პაუელი, მარშალი, უიტმორი, ე. უილიამსი, ლოურენსი, კ. დევისი, ლოუი, დ. ბარტონი

42 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 5 | 4 | 1 | 0 | 7:1 | 13 |
| კოსტა რიკა | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 |
| ჰონდურასი | 5 | 2 | 2 | 1 | 11:8 | 8 |
| იამაიკა | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | 5 |
| მექსიკა | 5 | 1 | 1 | 3 | 7:8 | 4 |
| ტრინიდადი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:11 | 1 |

### უნგრეთი

**მეორე ეტაპი**

21-ე ტური: ფერენცვაროში — ვაშაში 2:0; ჰონვედი — დებრეცენი 0:0; უიპეშტი — ტატაბანია 1:1; დუნაფერი — დიორ ეტო 4:1; შოპრონი — ვიდეოტონი 3:2; ზალაეგერსეგი — მტკ 2:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 22 | 13 | 2 | 7 | 40:35 | 46 |
| ფერენცვაროში | 21 | 11 | 8 | 2 | 34:14 | 45 |
| ვაშაში | 21 | 9 | 6 | 6 | 36:30 | 37 |
| უიპეშტი | 21 | 9 | 5 | 7 | 38:36 | 37 |
| დიორ ეტო | 21 | 10 | 5 | 6 | 30:30 | 37 |
| მტკ | 21 | 8 | 5 | 8 | 30:20 | 35 |
| ჰონვედი | 21 | 9 | 6 | 6 | 32:27 | 34 |
| შოპრონი | 21 | 7 | 6 | 8 | 24:26 | 30 |
| ზალაეგერსეგი | 21 | 7 | 7 | 7 | 30:30 | 29 |
| ვიდეოტონი | 21 | 8 | 2 | 11 | 33:33 | 28 |
| დებრეცენი | 21 | 6 | 3 | 12 | 31:42 | 24 |
| ტატაბანია | 22 | 1 | 3 | 18 | 20:55 | 12 |

მეორე ეტაპზე ქულები განახევრებულია

იყიდება როტვეილერის ლეკვები
☎ 39 42 65
(საღამოს. 19⁰⁰-21⁰⁰)

იყიდება
ვიოლინო, ზომა 3/4.
ტელ: 33-27-36

# Copa Toyota Libertadores '2001

## ლიბერტადორესის თასი 2001

ფინალი. I მატჩი

**კრუს ასული (მექსიკა) 0:1 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)**

0:1 დელგადო (79)
**კრუს ასული:** ო. პერესი, გუტიერესი (ადომაიტისი 55), ანგელესი (ტ. კამპოსი 42), ალმაგერი, მ. ბრაუნი, გალდამესი, ხ. ერნანდესი, პინეირო, მორალესი, პალენსია, ხ. კარდოზო
**ბოკა ხუნიორსი:** ო. კორდობა, იბარა, ბერმუდესი, ბურდისო, როდრიგესი (პინტუ 56), ბატალია, ვილარეალი (პერედა 77), ტრავერსო, გაიტანი, რიკელმე, ხიმენესი (მ. დელგადო 61)
115 000 მაყურებელი

# ბოკასთვის ყველგან კარგი ჰაერია: აცტეკაც ბუენოს აირესია

**მექსიკურ** „კრუს ასულს“ ლიბერტადორესის თასზე ექვსი საშინაო მატჩიდან ექვსივე მოგებული ჰქონდა და გუშინ მეშვიდე წააგო. ეს მეშვიდე თასის პირველი ფინალური შეხვედრა იყო.

მაშინ, როცა საფინალო სასტვენამდე თერთმეტი წუთი რჩებოდა, არგენტინელი კრისტიან ხიმენესის ნაცვლად მატჩის დასრულებამდე თვრამეტი წუთით ადრე შესულმა მარსელ დელგადომ ტურნირზე თავისი მეხუთე გოლი გაიტანა და ერთი გასროლით ჩააჩუმა „აცტეკაზე“ მისული 115 ათასი მექსიკელი, რომლებიც გოლამდე დიდ ჟრიამულში იყვნენ.

მასპინძლებმა მარსელ დელგადო უმეთვალყურეოდ დატოვეს საჯარიმოს კუთხესთან და სტუმარმაც დაბალ კუთხეში შეუგდო მეკარე ოსკარ პერესს, რომელსაც იქამდე საქმე, ფაქტობრივად, არც ჰქონია.

თასის მფლობელი მომავალ კვირაში გაირკვევა ბუენოს აირესის „ბომბონერას“ სტადიონზე, თუმცა საპასუხო მატჩამდე თითო-ოროლას თუ ეპარება ეჭვი, რომ „ბოკა ხუნიორსი“ სტუმრად მოპოვებულ გამარჯვებას შინ დაკარგავს.

„ბოკა ხუნიორსი“ ობიექტურად „კრუს ასულზე“ ძლიერია. სტატისტიკაც გვამცნობს, რომ „ბოკას“ „ბომბონერაზე“ დამარცხება პრაქტიკულად შეუძლებელია. 1960 წლიდან „ბოკამ“ ლიბერტადორესის თასზე შინ სამოცდახუთი მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ხუთჯერ დამარცხდა. ჰოდა, რაღა ახლა გაუწყრება ღმერთი და თუნდაც ფრეს ვერ გაახერხებს „კრუს ასულთან“. ისე, ამბობენ, „კრუს ასული“ საშინაო მატჩებს იმიტომ იგებდა, რომ „აცტეკა“ ზღვის დონიდან 2 400 მეტრის სიმაღლეზეა და სტუმრებს თამაში უჭირდათო. თუმც, როგორც უკვე ვიცით, გაიშვიათებული ჰაერი „ბოკა ხუნიორსისთვის“ დაბრკოლებად ვერ იქცა.

„ჩვენ უაღრესად ვფრთხილობდით“ — თქვა მატჩის შემდეგ არგენტინელთა მწვრთნელმა კარლოს ბიანკიმ.

ფრთხილი თამაშის შედეგია, რომ სახიფათო მომენტები, ფაქტობრივად, არც შექმნილა. მეტოქეებს გოლის გატანის ორ-ორი შესაძლებლობა ჰქონდათ, ოთხივე პირველ ტაიმში. მექსიკელების ანხელ მორალესისა და ხოსე კარდოზოს დარტყმული ბურთები ოსკარ კორდობამ მოიგერია, ხოლო ოსკარ პერესსმა ხუან რომან რიკელმეს არ გაატანინა.

დელგადოს გოლამდე ოთხი წუთით ადრე მასპინძლებს ბოლო შანსი მიეცათ. „ბოკას“ საჯარიმოში სტუმართა კაპიტანმა ხორხე ბერმუდესმა ხუან ფრანსისკო პალენსია დასცა, მაგრამ ბრაზილიელმა არბიტრმა მარსიო რესენდე დე ფრეიტასმა დუმილი არჩია, რითაც პალენსიას და კარდოზოს რისხვა დაიმსახურა.

ბოლოს ის ამბავი გავიხსენოთ, რაზეც გუშინ ვწერდით. რაკი მექსიკურ კლუბებს საკონტინენტთაშორისო თასისთვის თამაშის უფლება არა აქვთ, ფინალის შედეგის მიუხედავად „ბაიერნის“ მეტოქე „ბოკა ხუნიორსი“ იქნება. მაგრამ გერმანელებმა თქვეს, „ბოკას“ მხოლოდ იმ შემთხვევაში ვეთამაშებით, თუ ლიბერტადორესის თასი მოიგო, ფინალისტთან გაჯიბრების სურვილი არ გვაქვსო. როგორც ჩანს, „ბოკა“ თასს აიღებს და „ბაიერნსაც“ საპრეტენზიო აღარაფერი ექნება.

**გიორგი დარჯანია**



ხუან რომან რიკელმე (№10) და პაბლო გალდამესი


ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ./50 თეთრი)


# ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი

FIFA ARGENTINA 2001

# ჩინური რესტორნიდან მერვედფინალამდე



ჰეთ თრიქის გამტანი ხავიერ სავიოლა

*მეორე ტურმა საკმაოდ ბევრი რამ გაარკვია, ბევრიც სადავო დატოვა...*

*ბრაზილია და არგენტინა. მათ შორის თითქოს ერგვარად უხილავი დაპირისპირება მიმდინარეობს... სამხრეთამერიკული გუნდები თითქოს ცდილობენ ერთმანეთს არ ჩამორჩნენ... თუკი არგენტინელები გატანილი გოლების სიუხვით გამოირჩევიან, ბრაზილიელები ცდილობენ, პირველ ტაიმშივე მოამთავრონ საქმე და მეორეში „დამსახურებული დასვენების“ უფლება მოიპოვონ...*

*ამჯერად პირველ ტურში უნიათოდ მოთამაშე გერმანელებმაც თავი მოიქაჩლეს, თურმე მათაც შესძლებიათ ფეხბურთის თამაში და არცთუ ურიგოდ... ამერიკელებმაც შეძლეს შელახული რეპუტაციის აღდგენა...*

## A ჯგუფი

**იამაიკა 0:1 ფინეთი**

0:1 ვარირნენი (87)

**ეგვიპტე 1:7 არგენტინა**

1:0 ელ იამანი (4), 1:1, 1:2 სავიოლა (7, 53), 1:3 კოლოჩინი (19), 1:4 სავიოლა (43), 1:5 რომანიოლი (54), 1:6 მ. როდრიგესი (65), 1:7 როსალესი (68)

**„ფინეთის** ნაკრებთან წინა თამაშისას ჩვენმა გუნდმა დაადასტურა, რომ მომდევნო მატჩშიც, ეგვიპტის წინააღმდეგ, ზუსტად იგივე შემადგენლობამ უნდა ითამაშოს“ — განაცხადა არგენტინელთა მწვრთნელმა ხოსე პეკერმანმა თამაშის წინ.

გამარჯვების შემთხვევაში არგენტინელები მერვედფინალში მონაწილეობის უფლებას იბევებდნენ. სამხრეთამერიკელმა ჭაბუკებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა იოლად დაეძლიათ პირველი ეტაპი. მათი საკმაოდ თავდაჯერებული, ეფექტური და სოლიდური თამაში ანგარიშშიც აისახა — 7:1, თუმც ეგვიპტელებმა თამაშის დასაწყისში ერთგვარი სიურპრიზი შესთავაზეს, როცა ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში დაწინაურდნენ კიდეც, თუმც, შემდგომში იმდენჯერ განაახლეს თამაში ცენტრიდან, ბარე სამ თამაშს ეყოფოდა. სხვა რომ ვერაფრით გამოიჩინეს თავი, ეგვიპტელებმა უხეშობას მიმართეს, რის გამოც მოედნიდან გააძევეს მოჰამედ გერიშა.

ფინელებმა იამაიკასთან ერთადერთი ბურთით მოიგეს. შედეგი სავსებით კანონზომიერი იყო, რადგანაც ევროპელები ფაქტობრივად მთელ თამაშს აკონტროლებდნენ. ანგარიში უფრო დიდი იქნებოდა, რომ არა, იამაიკელთა მეკარის ალან ვისაკერის ოსტატობა, რომელიც, სპეციალისტთა პროგნოზით, ტურნირის საუკეთესო მეკარე გახდება.

მესამე ტურის წინ გარკვეულია მხოლოდ ის, რომ მასპინძლები მერვედფინალში ითამაშებენ. არც დანარჩენ სამ გუნდს დაუკარგავს მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი. ყველაფერი კი ხვალ გადაწყდება, როდესაც ერთმანეთს არგენტინა — იამაიკა და ეგვიპტე — ფინეთი დაუპირისპირდებიან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 9:1 | 6 |
| ფინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| იამაიკა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ეგვიპტე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:7 | 1 |

## B ჯგუფი

**კანადა 0:4 გერმანია**

0:1, 0:2, 0:3 აუერი (17, 67, 70), 0:4 პროისი (83)

**ერაყი 1:6 ბრაზილია**

0:1 ფერნანდო (8), 0:2 პინგა (14), 0:3 რობერტი (27), 0:4, 0:5 ადრიანო (29, 45), 0:6 რობერტი (70), 1:6 რიბაჯა (81)

ერაყის ნაკრებთან თამაშის წინ ბრაზილიელთა მწვრთნელს, კარლოს სეზარს გამარჯვების რწმენა არ დაუმალავს. მან პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ ბრაზილიელი ჭაბუკები იმგვარადვე სერიოზულად მიუდგებიან მეტოქეს, როგორც გერმანიის ნაკრებს, რომელიც მათ პირველ ტურში საკმაოდ იოლად დაამარცხეს.

„ერაყს შესაძლებლობა აქვს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაგდას მერვედფინალისკენ, თუკი ჩვენთან ფრეს გააზერხებს, ამიტომაც ვფიქრობ, ისინი სასურველი შედეგის მისაღწევად დახურულ თამაშს შემოგვთავაზებენ“ — განაცხადა ბრაზილიელმა.

მიუხედავად ამისა, მათ, არგენტინელთა მსგავსად, გაანადგურეს მეტოქე — 6:1. ბრაზილიელებმა, ისევე როგორც გერმანიასთან პირველ შეხვედრაში, საქმე ფაქტობრივად პირველ ტაიმში მოათავეს, როცა 5 ბურთი გაიტანეს. რობერტმა წინა ტურში ორ გატანილ გოლს ამჯერადაც ორი მიუმატა და ოთხი გოლით ბომბარდირთა სათავეში მოექცა.

პირველ ტურში საკმაოდ უნიათო თამაშის შემდგომ სპეციალისტებმა და გულშემატკივრებმა მოულოდნელობად აღიქვეს გერმანელთა გამარჯვება კანადასთან, და თანაც დიდი ანგარიშით.

მერვედფინალში თამაშის უფლება გაინაღდა ბრაზილიამ, გაირკვა ისიც, რომ კანადამ მომდევნო ეტაპზე გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგა. ასე რომ ბრაზილია — კანადის მატჩი არაფერს წყვეტს. რაც შეეხება გერმანია — ერაყის დაპირისპირებას, ერაყელები გამარჯვების შემთხვევაში მერვედფინალში გადიან, ფრე კი, ბურთების უკეთესი მაჩვენებლის გამო, გერმანელებს აძლევს ხელს. ორივე მატჩი ხვალ გაიმართება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 6 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ერაყი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:6 | 3 |
| კანადა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

## C ჯგუფი

**უკრაინა 0:0 ჩინეთი**

**ჩილე 1:4 აშშ**

0:1 ბესლი (6), 1:1 ვალდესი (27), 1:2 ბესლი (39), 1:3 ბ. დევისი (68), 1:4 ბადლი (75)

მეორე ტურის წინ მდგომარეობას ის ამძაფრებდა, რომ უკრაინა — ჩინეთის მატჩის გამარჯვებული ფაქტობრივად ინაღდებდა მერვედფინალში გასვლის უფლებას, ხოლო მეორე მატჩში წაგებული ფაქტობრივად კარგავდა შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსს.

უკრაინელ ჭაბუკებს, რომელნიც ჯგუფში ლიდერობდნენ არც დაუსვენიათ. რაც შეეხება ჩინეთს, მათ ამერიკელთა ძლევას მენდოსას ჩინურ რესტორანში ბანკეტი მიუძღვნეს, თუმცაღა არც ფეხბურთი დავიწყებიათ. გუნდი საკმაოდ დიდხანს ტკბებოდა პირველი მატჩის ვიდეოჩანაწერის ცქერით, რომლის დროსაც მწვრთნელები თამაშს პოზიციურად არჩევდნენ. მეორე დღეს კი ჩინელები ბურთაობით გაერთნენ — ერთმანეთს დაუპირისპირდა ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობა.

უკრაინა — ჩინეთის მატჩში გოლი არ გასულა, შეხვედრა არცთუ სასიამოვნო სანახავი გამოდგა, მიუხედავად ამისა ორივე გუნდს მომდევნო ეტაპზე გასვლის საკმაოდ კარგი შანსი აქვს.

ამ ჯგუფის მეორე მატჩში აშშ-მ სძლია ჩილეს და ეს უკანასკნელი დაემშვიდობა ჩემპიონატს. უმწვავესი ბრძოლაა მოსალოდნელი უკრაინა — აშშ-ს მატჩში, თუკი ოკეანესგაღმელები მოიგებენ, მერვედფინალში გადიან. ინტრიგამოკლებული არც ჩინეთ — ჩილეს მატჩია, რაკი აზიელები ხვალ მოგებისთვის ითამაშებენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ჩინეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| აშშ | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ჩილე | 2 | 0 | 0 | 2 | 3:8 | 0 |



ბრაზილიელი ლეო ლიმა (№12) და ერაყელი მუჰანად შიტახი


ბადრი [illegible] ფოტო

ფრანჩესკო ტოლდო

# ნუ გეშინია, კარში ტოლდოა!

**გადაწყდა.** ახალი სეზონიდან კატალონიელები მშვიდად იქნებიან. მათი უსაყვარლესი „ბარსელონას“ კარს უძლიერესი დარაჯი ეყოლება. ეს ამბავი კლუბის დირექტორმა ანტონ პარერამ „ფიორენტინა“ — „ბარსელონას“ მოლაპარაკებების დამთავრებისთანავე ახარა ჟურნალისტებსა და გულშემატკივრებს. იტალიელებმა ფრანჩესკო ტოლდოს „კამპ ნოუსკენ“ მიმავალი გზა გაუხსნეს. რჩება მხოლოდ უმცირესი დეტალები, რომელთა მოგვარება პრობლემას არ წარმოადგენს. ტოლდოზე უკეთესს „ბარსელონა“, ალბათ, ვერც ინატრებდა, მით უმეტეს, რომ „ლურჯ-წითელთა“ ამჟამინდელი მეკარეები გვარიან საფიქრალს უჩენს და საკმაოდაც ანერვიულებს თვითონ პრეზიდენტსაც და „ბარსას“ ქომაგებსაც. რიშარ დუტრუელი, ფრანჩესკო არნაუ და ხოსე მანუელ რეინა თითოოროლა მატჩში თუ ითამაშებენ ხეირიანად და შემდეგ მუდამ იდგა საკითხი — რა ვუყოთ კარს, სად ვნახოთ საიმედო კარის დარაჯი?

მავანთ, ალბათ, იმ თანხის რაოდენობაც დააინტერესებთ, რის საფასურადაც იტალიელი „იები“ მოიხიბლნენ და ფრანჩესკო დათმეს პერერას ამაზე სიტყვაც არ დასცდენია, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, კლუბების მოლაპარაკების დარბაზის დახურული კარიდან ინფორმაციამ გაჟონა. ყოვლისმცოდნე ჟურნალისტებმა ტოლდოს ტრანსფერი ოც მილიონ დოლარზე ოდნავ მეტად, ზუსტად კი ოცი მილიონ ოთხას სამოცდაათი ათასად შეაფასეს.

**გიორგი გაგარდაშვილი**

# დიდია კაცის ფანტაზია

**ლატვიამ** და ესტონეთმა გადაწყვიტეს, დიდი საფეხბურთო თამაში მოაწყონ, რომელიც თავისი გრანდიოზულობით გინესის რეკორდების წიგნში შევა. ერთი ქვეყნის ასი გუნდი მეორის ამდენივეს დაუპირისპირდება.

ამ თამაშების მოწყობის იდეა ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ მარტ ტრამაკს ეკუთვნის. შემდეგ ეს აზრი ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ივანის მეჟეცკის გაუზიარა, მანაც მოუწონა და 22 ივნისისთვის თამაშები დაინიშნა.

ორი ქვეყნის ორასი გუნდი ერთმანეთს არასდროს შეხვედრია. „ჩვენ გინესის წიგნში მოვხვდებით — თქვა მეჟეცკიმ — ლატვიის უმაღლესი დივიზიონის გუნდები ესტონეთის უმაღლესდივიზიონელებს შეერკინებიან, სხვა დივიზიონის წარმომადგენლები შესაბამისად გააგორებენ ბურთს. ასევე ითამაშებენ მოყვარული გუნდები, ექიმები, პარლამენტარები, ბანკის მოხელენი და სხვანი.“

ყველაზე საინტერესო, ბოლო თამაში, ლატვია-ესტონეთის საზღვარზე გაიმართება. აქ მესაზღვრეები მოსინჯავენ თავიანთ ძალებს. სათამაშო მოედანი ზედ საზღვარზე იქნება, ლატვიას კარი თავისსავე ტერიტორიაზე ექნება, ესტონეთს — თავისაზე, მაგრამ ცნობილი არ არის, მეორე ნახევარში გაცვლიან თუ არა კარებს, ან საერთოდ რამდენ ტაიმს ითამაშებენ.

ლატვიის ფეხბურთის ფედერაცია წიგნის გამოშვებას აპირებს, სადაც ამ ტურნირის ამსახველი ყველა დეტალი იქნება გაშუქებული. მეჟეცკის აზრით, ტურნირი ტრადიციული გახდება. ბოლოსთვის შეგახსენებთ, რომ ამ ქვეყნებს შორის მსგავსი თამაშები ჭადრაკში დიდი ხანია, ტარდება.

**ლუშა გეგეჭკორი**

იყიდება!
ნახმარი
კომპიუტერული ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

# ბავშვებს ნუ გვიფუჭებთ...
## თამამად მოიხოცეთ ცხვირი ორი თითით

**ფეხბურთი** მამაკაცური სპორტია. თამაშის დროს ხშირია უხეშობა, ძიძგილაობა, ერთმანეთის აუგად მოხსენიება, ცემა-ტყეპაც კი. მიუხედავად ამისა, ფეხბურთს უამრავი მაყურებელი ჰყავს. მათ შორის ცხადია, მოზარდებიც არიან, რომლებიც თვალებგაფართოებულნი, ბავშვური ინტერესით უცქერენ საფეხბურთო მატჩებს და შემდეგ თავიანთი კერპის ნომრიან მაისურაზე, მათ ავტოგრაფზე, ბუცის თასმასა და სხვა ამგვარ რალაცეებზე ოცნებობენ. ქუჩაში ბურთსაც რომ აგორებენ, ისეთივე ტრიუკებისა და ფინტების შესრულებას ცდილობენ, როგორსაც მათი ჯილა აკეთებს. ხშირად სიარულსა და საუბრის მანერაშიც ბაძავენ რჩეულებს.

კარგია ეს თუ ცუდი? რა თქმა უნდა, კარგია, იმ შემთხვევაში, თუ ვისაც ბაძავ, მართლა მისაბაძია. მოზარდ თაობას კი ვილაც უნდა დაეხმაროს არჩევანს გაკეთებაში. ალბათ, მშობლები და ახლობლები, მაგრამ სანამ ისინი თავისას გააკეთებენ, მავანთ სხვაგვარად მოუნდომებიათ საკითხის გადაწყვეტა.

ვილი ლემკე ერთ დროს „ვერდერის“ მწვრთნელი გახლდათ, ხოლო ახლა ქალაქ ბრემენის განათლების დეპარტამენტის თავჯდომარეა და ფეხბურთელთა ქცევის ახლებური ნორმების დაკანონება განუზრახავს.

ეტყობა, გერმანიაში საკმაოდ მომრავლდნენ უწესო მოზარდები, რომლებიც საზოგადოებაში ფურთხებას ანაც ნესტოების გამოსუფთავებას აღარ დაგიდევენ. რატომაც არა, ისინი სულ მცირე, კვირაში ერთხელ, ოცდაორი კაცის ბურთაობას უცქერენ, რომელთაგანაც უმეტესობა უდიერად იპურჭყება და მრავალ საზიზღრობას ჩადის. ვილი ლემკე მოითხოვს, ფეხბურთელებს აეკრძალოთ ფურთხება და ცხვირის ხოცვა. მის აზრს გერმანიის ფეხბურთის კავშირშიც უჭერენ მხარს. მოთამაშეები კი გაკვირვებულნი არიან.

ლემკესა და ზრდილობისა და ეთიკის საკითხით დაინტერესებულ სხვა პირებს პირველი კაიზერსლაუტერნელი მარიო ბასლერი გამოეხმაურა.

სუპერმარიომ, ან უნდა ვიფურთხო, ანაც ფეხბურთს თავი დავანებოო: „ფეხბურთი კაცური სპორტია და არა ქალთა თავშეყრა ფინჯან ყავასთან. თუ ვინმე გვაიძულებს, რომ მატჩის დროს ბრძოლაში ჩაბმულებმა ცხვირმოუხოცავებმა და დორბლიანებმა ვირბინოთ, მაშინ ისლა დაგვრჩენია, ფეხბურთს თავი დავანებოთ“.

ბასლერი „ბაიერნიდან“, როგორც გახსოვთ, ლოთობისა და შფოთისთავობისთვის მიაბრძანეს. ცხადია, ასეთ კაცს ვერ მოსთხოვ, მოედანზე იმგვარად იქცეოდეს, რომ მოზარდისთვის მისაბაძი იყოს. გარდა ამისა, ცოტა არ იყოს, სასაცილოა, ლემეკის სიახლე, დასაჯო ფეხბურთელი ჩვეულებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებისთვის. მართლაც, ფეხბურთის მოედანი ბრძოლის არენაა და არა საბალეტო სცენა. ომში კი მთავარი გამარჯვებაა და როცა ამ მიზნისთვის იბრძვი, მოგეტევება. ჰოდა, არაა ჩვენი საქმე, რომელი ფეხბურთელი როგორ იფურთხება და ცხვირს როგორ იწმენდს. ასე იყო აქამდე და ასეც იქნება. ლემკეს სურვილი ჩანასახშივე განწირულია. ამიტომ ფეხბურთელებს არ უნდა ეშინოდეთ იმისა, რომ მატჩის დაწყებიდანვე მსაჯი მათ ჯიბეში ჩაუძვრება და თუ ცხვირსახოცი არ აღმოაჩნდათ, შავ დღეს დააყრის.


მარიო ბასლერი

მოზარდებს კი ვურჩევთ, უყურონ ფეხბურთს, შიგადაშიგ იფურთხონ და თუ სურთ, ცხვირიც ხშირად მოიხოცონ, ოღონდ არა ქუჩაში, არა ტრანსპორტში და კინოთეატრში. ამის კეთება მხოლოდ და საფეხბურთო მოედანს უხდება.

**გიორგი გაგარდაშვილი**

# შტეფან ეფენბერგმა ეს საქმე შამპანურივით უნდა ჩააციოს
## მცემა და გამწუწაო. არ ცხრება ქალი

**გერმანიაში** საფეხბურთო არდადეგები დაიწყო, თუმცა არა შტეფან ეფენბერგისთვის. იმის მაგივრად, რომ დასასვენებლად მიუნხენიდან შორს გაემგზავროს, ალბათ იქვე ახლოს, სასამართლოში მოუწევს სიარული.

„ბაიერნის“ გულშემატკივრებს ჩემპიონთა ლიგის მოგებამ დაავიწყა ის, რაც მიუნხენის პროკურატურას კარგად ახსოვს.

შარშან, პირველ ოქტომბერს, ღამის პირველ საათზე, როცა ბავარიის მთავარი ქალაქის მოსახლეობას მშვიდად ეძინა, მსუბუქად შეზარხოშებული შტეფან ეფენბერგი და მისი თანამეინახენი მიუნხენის ერთ-ერთ დისკოთეკას ეწვივნენ. მათ ის მაგიდა მოუვიდათ თვალში, რომელიც დაკავებული აღმოჩნდა. შექეიფიანებულნი ის-ის იყო ჩამოსხდომას აპირებდნენ, რომ მაგიდის დამკვეთი, ფრაუ თუ ფროილაინი გამოჩნდა. ეტყობა, რომ მას ნაკლებად აღელვებდა შტეფანის დიდი ფეხბურთელობა და დაიწყო კიდეც საქმის გარჩევა, რაც კონფლიქტში გადაიზარდა. „ბაიერნის“ კაპიტანმა ხმამაღლა მოსაუბრე გერმანელი ქალბატონის ემოციები შამპანურის შხეფებით გაანელა, სასმელი სახეში შეასხა და ერთი გემრიელი სილაც გააწნა. აღვნიშნოთ, რომ ეს მომხდარის ქალბატონისეული ვერსიაა.


შტეფან ეფენბერგი

შტეფანს რომ ძალა ერჩის, ამას მტკიცება რად უნდა, აი, მისი საჯარო დემონსტრირება კი, თუ მართლაც ასეა, შეიძლება, ძვირად დაუჯდეს. ამ ინციდენტის გამო დაწყებული გამოძიება პროკურატურამ ახლახან დაასრულა და მიუნხენელთა კაპიტანს სასამართლოში უხმო.

ქალბატონის ადვოკატებმა ეფენბერგს ასეთი ვარიანტი შესთავაზეს — თუ ის მიყენებული ზიანისთვის დაზარალებულს 400 000 მარკას გადაუხდიდა, საქმე სასამართლომდე არ მივიდოდა. თუმცა სხვაგვარად ფიქრობს ფეხბურთელის ადვოკატი იორგ სკლებიცი, რომელიც ამ თანხის გადახდაზე უარს აცხადებს. გამოდის, რომ პროკურატურას საქმის ადმინისტრაციულ სასამართლოში გადაგზავნა მოუწევს, ეს უკანასკნელი კი, ალბათ, აქცენტს ისევ ჯარიმის გადახდაზე გააკეთებს.

თუ ეფენბერგი დამნაშავედ ცნეს, მას გაცილებით მეტის გადახდა მოუწევს, მაგრამ ფეხბურთელს, რომელსაც წელიწადში 8 მილიონ მარკას უხდიან, ფული ნაკლებად აღელვებს. „ბაიერნის“ კაპიტანს ეძლევა შანსი, თავისი უდანაშაულობა დაამტკიცოს და შეეცდება კიდეც ამას, რადგან მისთვის, როგორც თავად აცხადებს, პრესტიჟი ბევრად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ფული.

და მაინც, რა ღირს გერმანიაში ერთი ალიყური და ჭიქა შამპანური?

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალენ აფლელუ



ჟაკ რუბიო

# ტულუზმა იჩივლა და დაქვეითდა, მარსელმა ფული ჩაიტანა და დარჩა

**მართლაც,** ძალიან უცნაური ჩემპიონატი აქვს საფრანგეთს. ჯერ იყო და კარგა ხნის მანძილზე საუკეთესოს ტიტულისთვის ერთბაშად ექვსი-შვიდი გუნდი აცხადებდა პრეტენზიას. ახლა კი, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, მისი საბოლოო ცხრილი შესაძლოა, სასამართლოს გადაწყვეტილებით კიდევ შეიცვალოს. ასეც რომ არ მოხდეს, სავსებით მოსალოდნელი იყო მომავალი სეზონისთვის პირველი დივიზიონის შემადგენლობა შეცვლილიყო.

ცოტა გაუგებარია არა?

„ყალბი პასპორტების საქმე" გაგონილი გექნებათ. მრავალ ქვეყანაში უკვე მრავალი დაისაჯა ამის გამო და კიდევ ბევრი ელის თავის სასჯელს, ანდა გამართლებას. ჰოდა, ეს საქმე სწორედ საფრანგეთში დაიწყო „ტულუზის" ინიციატივით. თუმცა სხვისი პასპორტების მოწმება ტულუზელებს ძვირი დაუჯდათ. ხრიკების ხლართვაში საკუთარი ბიუჯეტის სწორად შედგენა დაავიწყდათ და საფრანგეთის ფეხბურთის ეროვნულმა ლიგამაც, ისედაც მეორე დივიზიონში დაქვეითებულ გუნდს, კიდევ ერთი დივიზიონით, ანუ ნასიონალში დაქვეითება მიუსაჯა.

ამას, რა თქმა უნდა, ტულუზელები არ შეურიგდნენ და საფრანგეთის უზენაეს სასამართლოში იჩივლეს. მათ რამდენიმე გუნდის, რომლებმაც ყალბპასპორტიანი არაევროკავშირელები გამოიყენეს, მატჩების შედეგების გაუქმება მოითხოვეს, რაც პირველი დივიზიონის 2000-2001 წლების სეზონის საბოლოო ცხრილს საკმაოდ არევდა, რის შედეგადაც თავად „ტულუზი" ელიტაში დარჩებოდა. ამავდროულად გარონელებს არასწორი ბიუჯეტის პრობლემაც მოეხსნებოდათ, რადგან პირველ დივიზიონში შემოსავალი გაცილებით მეტია და ეს თანხა დეფიციტს სავსებით დაფარავდა.

თუმცა სხვა გუნდებს, თავად ფედერაციასა და ლიგას არაფრით აწყობთ ასეთი არეულობა. ჰოდა, დაიწყო პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. კეთილი ჯადოქრის როლი მეორე დივიზიონის „კრეტეის" პრეზიდენტმა და საკმაოდ წარმატებულმა ბიზნესმენმა ალენ აფელუმ იკისრა. ოთხშაბათს მართვის კონტროლის ეროვნული ხელმძღვანელობის სააპელაციო კომისიის სხდომაზე, სადაც გუნდების დაქვეითება-არდაქვეითების შესახებ იყო მსჯელობა, აფელუმ განაცხადა, რომ მზად იყო 48 მილიონი ფრანკი შეეტანა „ტულუზის" ანგარიშზე ბიუჯეტის დასაბალანსებლად. ოღონდ, მან ერთი პირობა წამოაყენა — კლუბს უზენაესი სასამართლოდან საჩივარი უნდა გამოეტანა, რისი ბოლო ვადაც შაბათ დილით ათის ნახევარზე იწურება.

აფელუს თქმით, „ტულუზის" პრეზიდენტმა ჟაკ რუბიომ მის წინადადებაზე ზეპირი თანხმობა განაცხადა, თავად რუბიომ კი თქვა, რომ აფელუს „წილში ჩასასმელად მზადაა, მაგრამ არა ნებისმიერ ფასად".

„კრეტეის" ხელმძღვანელი თავის მოთხოვნას ტულუზელთა სასამართლოში ჩივილის შეწყვეტის შესახებ იმით ხსნის, რომ „არ მინდა, ჩემი სახელი სკანდალებს დაუკავშირდეს და ფრანგულ ფეხბურთს რაიმე ზიანი მივაყენო"-ო. თუ იგი თავისას გაიტანს, მაშინ „ტულუზი" მომავალ სეზონში მეორე დივიზიონში გამოვა, „მეცი" და „მონაკო" გავარდნას გადაურჩებიან (ისე, შეიძლება, მაინც არ გავარდნილიყვნენ, რადგან მოიგებენ თუ არა საქმეს ტულუზელებმ, ძნელი სათქმელია), ხოლო „ნანტი" ბოლოს და ბოლოს თავს ნამდვილ ჩემპიონად დაიგულებს.

ხოლო თუ შაბათს მაინც მივიდა საქმე განხილვის დაწყებამდე, მაშინ სასამართლო თავის ვერდიქტს არაუგვიანეს ხუთშაბათ ნაშუადღევისა გამოაცხადებს.

ოთხშაბათს „ტულუზის" გარდა სააპელაციო კომიტეტმა სხვა გუნდებსაც მოუსმინა. აღსანიშნავია, „მარსელი", რომელიც ორი საათის განმავლობაში ამტკიცებდა, ბიუჯეტს შევასრულებ, არ დამაქვეითოთო.

კლუბის პრეზიდენტმა რობერ ლუი-დრეიფუსმა კომისია დაარწმუნა, რომ 2001 წლის 30 ივნისს „მარსელის" ანგარიშზე იმაზე მეტი ფული იქნება, ვიდრე ბიუჯეტის დეფიციტის აღმოსაფხვრელადაა საჭირო. თანხა კომპანია „ერიკ სოკერის" მიერ გადაირიცხება, რომელიც ლუი-დრეიფუსის ვაჟის მფლობელობაშია. თავად „ადიდასის" შეფი კი კონტრგარანტი იქნება ანუ თუ რაიმე ფინანსური პრობლემა წარმოიქმნება, მის გადაწყვეტას თავის თავზე იღებს.

სხდომის შედეგები გუშინ საღამოს უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ უკვე დილით გავრცელდა ინფორმაცია, რომ „მარსელი" გადარჩა.

კლუბის, რომელიც მალე სააქციო საზოგადოებად გადაკეთდება, მომავალმა ვიცე-პრეზიდენტმა ჟან-პიერ კლეინმა განაცხადა, რომ მართვის კონტროლის ეროვნული ხელმძღვანელობის ოფისიდან მას აცნობეს საქმის მარსელელთა სასურველი შედეგით გადაწყვეტის შესახებ.

თუმცა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ ეს ცნობა ოფიციალურ კომუნიკემდე არაფრით დაადასტურა.

ამის მიუხედავად, „მარსელის" თავკაცები უკვე დილით ესაუბრნენ პრესას. „ძალიან კმაყოფილნი ვართ, რადგან „ოლიმპიკი" ისევ პირველ დივიზიონში დარჩა. ვფიქრობ, მათ ჩვენი არგუმენტები გაითვალისწინეს. სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო, ვინაიდან ფინანსურად ყველაფერი წესრიგში გვქონდა. თუმცა აქვე უნდა დავამატო, რომ ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ტრიუმფალური განწყობილების შექმნას არ ვეცდებით, თითქოს ურჩხული დავამარცხეთ. მომავალში, დარწმუნებული ვარ, მსგავსი გაუგებრობები აღარ განმეორდება, რადგან ჩვენი ახალი ფინანსური დირექტორი, ბატონი პიერ დუბიტონი ძალიან ძლიერი და სერიოზული ფინანსისტია" — თქვა კლეინმა.

ვნახოთ, როგორ გამართლდება ჟან-პიერ კლეინის მოლოდინი. მარსელში ადრეც ყოფილან ძლიერი ფინანსისტები, მაგრამ კლუბს აქედან გასაჭირიც ახსოვს, რადგან საფრანგეთში საგადასახადო ინსპექტორები გაცილებით ძლიერნი ჩანან.

გუშინ საღამოს ოფიციალურადაც გამოცხადდა, რომ „მარსელი" დარჩა პირველ დივიზიონში, „ტულუზი" კი ერთი საფეხურით დაქვეითდა, თუ, რა თქმა უნდა, საჩივარს არ გამოიტანს და ფრანგი ფეხბურთის მამები მოწყალე თვალით არ გადახედავენ.



რობერ ლუი-დრეიფუსი

**გაგი გურული**

# ვალენსია: კუპერს შეცვლის ბენიტესი, მენდიეტას — ვერავინ!

**„ვალენსიას"** პრეზიდენტი პედრო კორტესი პრესის წარმომადგენლებს შეხვდა და მათ კლუბის მომავალი გეგმები გაუმხილა. ბუნებრივია, ყველას ის უფრო აინტერესებდა, ვის დანიშვნას აპირებს მწვრთნელად, რადგან არაერთგზის ითქვა, არგენტინელი ეკტორ რაულ კუპერი სექტემბრიდან „ვალენსიაში" აღარ იმუშავებსო.

პრეზიდენტმა კორტესმა ოფიციალურად დაადასტურა ის, რასაც აქამდე ყველაზე მეტად ეჭვობდნენ — „ვალენსიას" მომავალი თავკაცი რაფაელ ბენიტესი იქნება.

ცნობისთვის, ბენიტესი „ტენერიფეს" მწვრთნელია და მან წლეულს კლუბი პრიმერადივზიონში გადაიყვანა, მანამდე კი „ესტრემადურა" და „ოსასუნა" გაუწვრთნია.

„ბენიტესი აყალიბებს გუნდებს, რომლებიც აგრესიითა და მიზანდასახულობით გამოირჩევიან. სადღეისოდ იგი ჩვენთვის ყველაზე სასურველი კანდიდატია და იმედი მაქვს, კონტრაქტსაც მალე გავაფორმებთ" — განაცხადა კორტესმა.



რაფაელ ბენიტესი

პრიმერადივიზიონის უკანასკნელ ტურში „ბარსელონასთან" მარცხის შემდეგ „ვალენსია" ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩა და უეფას თასზე მოუწევს თამაში. კორტესს დაეკითხნენ, რისი იმედი გაქვთ, ბენიტესი „ვალენსიას" რას მიაღწევინებსო. მან კი უპასუხა: „მოვიგოთ ესპანეთის ჩემპიონატი, სასურველია, უეფას თასი და შევქმნათ ახლანდელზე უკეთესი გუნდი — ასეთია ჩვენი მიზანი".

დაინტერესდნენ გაისკა მენდიეტას ბედითაც, რადგან ცნობილია, „ვალენსიას" კაპიტნის ყიდვას ბევრი ევროპული გრანდი აპირებს. მათ შორის კი ყველაზე მეტი აქტიურობით „მილანი" გამოირჩევა.

პრეზიდენტმა ამაზე უპასუხა: „მენდიეტას არ ვყიდით, ის კლუბის სიმბოლოა. ყველა ღონეს ვიხმართ, რათა გუნდში დავტოვოთ, რადგან ვინც არ უნდა მოვიდეს მწვრთნელად, ტაქტიკა სწორედ მენდიეტაზე უნდა ააგოს".

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიურმა** „ატალანტამ" „მილანის" თავდამსხმელი ლუკა საუდატი შეიძინა და მის სანაცვლოდ 8 მილიონი დოლარი გადაიხადა. 23 წლის ფეხბურთელმა ბერგამოულ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. საუდატიმ შარშანდელი სეზონი იჯარით „პერუჯაში" გაატარა და 25 შეხვედრაში 7 გოლი მიითვალა. იგი „მილანის" აღზრდილია, თუმცა ამ კლუბში მხოლოდ რამდენიმე მატჩი ჩაატარა და „პერუჯამდეც" „მონცაში", „ლეჩეში", „კომოსა" და „ემპოლიში" იყო განათხოვრებული.

**ინგლისელმა ვეტერანმა მცველმა სტიუარტ პირსმა „მანჩესტერ სიტისთან" გააფორმა კონტრაქტი. 38 წლის ფეხბურთელი ბოლოს „ვესტ ჰემში" ირიცხებოდა, თუმცა შეთანხმების ვადა დაუსრულდა და ახლა კევინ კიგანის გუნდში გადასვლა არჩია. ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელისთვის, რომელიც მანჩესტერულ კლუბს მაისში ჩაუდგა სათავეში, პირსი პირველი ახალშენაძენია. ინგლისის ნაკრების ყოფილ წევრს „ქოვენთრიში", „ნოტინგემ ფორესტსა" და „ნიუკასლ იუნაიტედში" უთამაშია, „ვესტ ჰემში" იგი 1999 წლის აგვისტოში გადავიდა.**

**გერმანელი** ნახევარმცველი შტეფან მალცი უახლოეს დღეებში „არსენალს" დატოვებს და „კაიზერსლაუტერნთან" გააფორმებს კონტრაქტს. ბუნდესლიგური კლუბის ხელმძღვანელობის განცხადებით, ყველა პირობა უკვე შეთანხმებულია. ხელშეკრულება ოთხწლიანია, „არსენალი" კი 29 წლის მალცის სანაცვლოდ 780 ათას დოლარს მიიღებს. გერმანელი ლონდონურ კლუბში ორი წლის წინ „მიუნხენ 1860"-დან ჩაირიცხა, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ვერ მოახერხა.

**ინგლისური „ვესტ ჰემის" ყოფილი მწვრთნელი ჰარი რედნაპი პირველდივიზიონური „პორტსმუთის" დირექტორად დაინიშნა, რაც მოსალოდნელიც იყო. მან ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ხელმძღვანელობის განცხადებით, რედნაპის გუნდში მისვლა მწვრთნელ გრემ რიქსზე არ იმოქმედებს. რიქსი „პორტსმუთს" მომავალ სეზონშიც გაუძღვება. შეგახსენებთ, რომ 54 წლის რედნაპმა „ვესტ ჰემის" მწვრთნელობის შვიდწლიანი კარიერა მაისში დაასრულა.**

**იტალიურ** „უდინეზეს" ახალი სეზონიდან, სავარაუდოდ, როი ჰოჯსონი ჩაუდგება სათავეში. მას „კოპენჰაგენთან" კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, თუმცა იტალიელთა შეთავაზებას, ალბათ, დათანხმდება. უდინურ კლუბს ბრიტანელი ლუჩანო სპალეტისგან ჩაიბარებს, რომელიც ამ თანამდებობაზე მარტში დაინიშნა (მან ლუიჯი დე კანიო შეცვალა). 54 წლის ჰოჯსონი ადრე შვეიცარიის ნაკრებს წვრთნიდა და 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზეც ათამაშა. იგი მილანის „ინტერსა" და „ბლექბერნსაც" თავკაცობდა. ჰოჯსონმა შვედურ „ჰალმსტადსა" და „მალმიოს" ქვეყნის ჩემპიონობა მოაგებინა, შემდეგ კი „კოპენჰაგენს" ჩაუდგა სათავეში და 1993 წლის შემდეგ პირველად გახადა დანიის ჩემპიონი.

**ინგლისურმა „ლივერპულმა" საბოლოოდ მიაღწია შეთანხმებას „მონაკოსთან" და ნორვეგიელი იონ არნე რიისე „ენფილდ როუდზე" გადაიბირა. ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა, ის კი ცნობილია, რომ 20 წლის ფეხბურთელმა ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. რიისე „მონაკოში" 1998 წლის შემდეგ თითქმის უცვლელად თამაშობდა. მისი შეძენის სურვილს პრემიერლიგის ახალწვეული „ფულემიც" გამოთქვამდა, მაგრამ საბოლოოდ „ლივერპულმა" იმარჯვა.**

დასაწყისი იხ. „სარბიელი“ №70, №75, №80, №85, №90, №95, №100, №105

# საფლავები

## ტრაგიკულ ამბავთა უცხოური ქრონიკა

**მწვერვალებთან** დაკავშირებული ქალთა ტრაგედიები განსაკუთრებული თემაა. ქალები იღუპებიან სამიათასიან მწვერვალებზეც და მსოფლიოს უდიდეს, რვაათასიან ცათამბჯენებზეც; იღუპებიან კაცებთან ერთ თოკში ჩაბმულნიც, მეწყვილე ქალებთან ერთადაც და დამოუკიდებელ ქალთა ექსპედიციებშიც.

ვერ გეტყვით, ვინ იყო პირველი ქალი, ვინც მთამსვლელობას ემსხვერპლა, მაგრამ გიამბობთ იმათზე, რომლებიც პირველნი შეეწირნენ რვაათასიანს. ესენი იყვნენ ფრანგი კლოდ კოგანი და ბელგიელი კლოდ ვან დერ შტრატენი.

ნიცელი მოდების ატელიეს მფლობელი კლოდ კოგანი ძალზე გამოცდილი მთამსვლელი იყო და ამ საქმეში კაცებს ტოლს არ უდებდა. 1955 წელს მან შვეიცარიელ მთამსვლელებთან რაიმონ ლამბერთან და ერიკ გოშასთან ერთად თავისი მესამე შვიდიათასიანი მწვერვალი, ჰიმალაიზე ალმართული განეშ პიკი (იგივე განეშ-ჰიმალი, 7406 მ) დალაშქრა. ამგვარად, ეს ქალბატონი, თავისი მეწყვილე მამაკაცებთან ერთად, აღმოჩნდა პირველი ადამიანი, ვინც ამ მწვერვალზე ფეხი შედგა, ამასთან მანამდე ასეთი სიმაღლისთვის არცერთ ქალს არ მიეღწია.

კლოდ კოგანი ასევე იყო პირველი ქალი, რომელმაც რვაათასიან მწვერვალსაც შებედა. მაშინ, 1956 წელს თავის ერთგულ მეწყვილე ლამბერთან ერთად ჩო ოიუზე (8153), რომელზეც მანამდე მხოლოდ ერთი წარმატებული ექსპედიცია მოწყობილიყო, 7600 მეტრამდე ავიდა და თავისივე ქალთა სასიმაღლო რეკორდი გააუმჯობესა.

კოგანი იყო ასევე პირველი ქალი, ვინც რვაათასიან მწვერვალს ემსხვერპლა. მაშინ, 1959 წელს კოგანი სათავეში ჩაუდგა ქალთა საერთაშორისო ექსპედიციას, რომელშიც შედიოდნენ მისი მეგობარი, ბელგიის ჩემპიონი სამთო სათხილამურო სლალომში კლოდ ვან დერ შტრატენი, სახელგანთქმული მთამსვლელის, ედმუნდ ჰილარისთან ერთად ევერესტზე პირველამსვლელი თენსინგ ნორგეის ორი ქალიშვილი, ასევე დიდი ალპინისტის, ფრანგი ჟან ფრანკოს ქალიშვილი.

სამწუხაროდ, „დედამიწის ყველაზე მაღალი ქალი“, როგორც კოგანს უწოდებდნენ და მისი მეგობარი შტრატენი ორ შერპთან ერთად ზვავმა IV ბანაკში ჩაჩუმქრა. ისინი გახდნენ პირველი ქალები, რომლებიც რვაათასიან მწვერვალს შეაკლეს თავი. ბუნებრივია, ამ ტრაგედიას ფართო პრესა მოჰყვა.

ძალზე გახმაურდა 1979 წელს დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ერთი ქალის დაღუპვაც. საქმე ის იყო, რომ მაშინ ევერესტზე ავიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ექსპედიცია, რომელიც აღმოჩნდა ამ მწვერვალის დამლაშქრავი ყველაზე რიცხვმცირე გუნდი, ყველაზე სწრაფი (32 დღე) და პირველი, რომლის თითოეულმა წევრმა დედამიწის უმაღლეს წერტილიდან გადმოიხედა. ამასთან, ამ მწვერვალსა და საერთოდ რვაათასიანების ისტორიაში ევერესტზე ფეხი შედგეს მეუღლეებმა — ექსპედიციის მეთაურმა, დოქტორმაა გერჰარდ შმატცმა და მისმა 39 წლის ცოლმა, დიასახლისმა ჰანელორამ.

გადამწყვეტი იერიშის დაწყებამდე ქმარმა და კიდევ რამდენიმე მთამსვლელმა ჰანელორას მწვერვალზე ასვლა აუკრძალეს.

ევერესტზე ასვლის სიამოვნება არ უნდა მომისპოთო, თქვა ჰანელორამ. მას ექსპედიციის ზოგიერთმა წევრმა მხარი დაუჭირა და ისიც დასძინა, რომ ჰანელორა თავს ჩინებულად გრძნობსო.

მათი ასვლა დიდი გამარჯვება გახლდათ, რაც, სამწუხაროდ, დაშვებისას ჰანელორასა და კიდევ ერთ მთამსვლელის დაღუპვამ გააუფერულა, თუმცა, ამ ტრაგედიამ ექსპედიციის შედეგები უფრო ხმაურიანი გახადა.

ჰანელორას გარდა ევერესტზე სხვა ქალებიც განისვენებენ, მათ შორის 1998 წელს დაღუპული ამერიკელი ფრენკ დისტეფანოს ცხედარიც, ვინც პირველი ქალია, რომელმაც სამყაროს სახურავს უჟანგბადოდ მიაღწია.

ქალების თავს დამტყდარი ყველაზე დიდი ტრაგედიის მსხვერპლნი საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები იყვნენ: მოსკოველები ელვირა შატაევა, ნინა ვასილიევა, ვალენტინა ფატაევა, ფრუნზელი ლიუდმილა მანჟაროვა, მინსკელი გალინა პერეხოდიუკი, დუშანბელები ტატიანა ბორდაშოვა, ილსიარ მუხამედოვა და სვერდლოვსკელი ირინა ლიუბიმცევა. ისინი ქალთა ექსპედიციის წევრები იყვნენ და პამირზე, ლენინის პიკზე დაიღუპნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს არა მხოლოდ საბჭოთა, არამედ მსოფლიოს მთამსვლელობის ისტორიაში ქალთა შორის უდიდესი ტრაგიკული შემთხვევა იყო, მას დიდი რეზონანსი არ მოჰყოლია.

საქმე ის იყო, რომ საბჭოთა კავშირში მსგავს ტრაგედიებს ასაიდუმლოებდნენ და იგი მხოლოდ დაღუპულთა ახლობლების, ზემდგომი ორგანოებისა და ხელმძღვანელი ამხანაგებისთვის ხდებოდა ცნობილი, ისიც დაგვიანებით.

მთებს რომ ლაპარაკი შეეძლოთ, ისინი ბურუსით მოცულ მთამსვლელ ქალთა მრავალ ტრაგედიას ახდიდნენ ფარდას.

მთებს რომ ლაპარაკი შეეძლოთ, ისინი გვიამბობდნენ საერთოდ მთამსვლელთა დამოკიდებულებას თავიანთი დაღუპული თანაგუნდელებისადმი და ცხედართა შემდგომ ბედზეც. ამ მონათხრობიდან ნათლად გამოჩნდებოდა არა მხოლოდ მთამსვლელთა, არამედ ზოგადად ხალხთა დამოკიდებულებაც ტრაგედიებისადმი. ამ მხრივ მთები ალბათ განსაკუთრებით ორი ეროვნების მთამსვლელთა ძალზე განსხვავებულ დამოკიდებულებას გამოარჩევდნენ. ესენი იქნებოდნენ შერპები და ქართველები, ხოლო ყველა დანარჩენი ალპინისტი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ერთ თოკში ჩაბმული აღმოჩნდებოდა. ყოველ შემთხვევაში, მთაში დატრიალებული ტრაგიკული ისტორიები, ჩვენი დაკვირვებით, ამგვარი დასკვნის საფუძველს გვაძლევს.

ჩვენი მთამსვლელები, როგორც ალბათ მკითხველი „ტრაგიკულ ამბავთა ქართული ქრონიკებით“ დარწმუნდა, დაღუპულ მეგობრებს მწვერვალთა ფერდობებზე არ ტოვებენ. ისინი ხიფათში ჩავარდნილთა გადასარჩენად თუ უკვე დაღუპულ თანამემამულეთა ჩამოსასვენებლად საკუთარ სიცოცხლესაც სასწორზე აგდებენ. მათ უდიდესი რისკისა და ჭაპანწყვეტის ფასად დაღუპულთა ცხედრები ჩამოუსვენებიათ და მიწისთვის მიუბარებიათ მშობლიური კავკასიონიდანაც და შორეული პამირის, ტიან-შანისა თუ დოლომიტების ალპებიდანაც. თუ არ ვცდებით, დღეს ორად-ორი ჩვენი მთამსვლელის ცხედარი შემორჩენილა თოვლ-ყინულეთის სამეფოს. მათგან ერთი, უგზოუკვლოდ დაკარგულ რიბინსკისაა, რომლის ცხედარსაც პამირის მთებში [illegible] ბნის მიუხედავად ვერ მიაგნეს, მეორე, ილია გაბლიანისა კი ტიან-შანის უმაღლეს მწვერვალ პობედას შემორჩენია.

მისი ჩამოსვენების პრობლემა დღესაც აწუხებთ ძველი თაობის მთამსვლელებსაც და დღევანდელებსაც. ძველი გვარდიის თბილისელი მთამსვლელის ლევ სარქისოვის ბინის სხვენში დღემდე ინახება მრავალი წლის წინათ მისივე ხელით დამზადებული თითბერის კუბო, რომლითაც ილია გაბლიანის ცხედრის საქართველოში ჩამოსვენებას აპირებდნენ, მაგრამ მრავალ მიზეზთა გამო ეს ვერ მოხერხდა.

ქართველთაგან განსხვავებით დასავლელი მთამსვლელები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დაღუპულ თანამემამულეთა ჩამოსასვენებლად, შეიძლება ითქვას, თავს არ იკლავენ, რაკიღა ეს საქმე მეტისმეტად დიდ საფრთხესთანაა დაკავშირებული.

დაღუპულ მთამსვლელთა ჩამოსასვენებლად არც შერპები ზრუნავენ, თუმცა ისინი უდიდესი გამბედაობით, ენერგიითა და თავგანწირვით გამოირჩევიან. ისინი ყოველივე ამას ავლენენ თანამემამულეთა და სხვათა გადარჩენისას.

შერპები, ჰიმალაის მთებში მცხოვრები ეს მართლაც ერთი მუჭა ხალხი, მოგეხსენებათ, ბუდისტები არიან. ბარში დაღუპულ შერპებს, ბუდისტების წეს-ჩვეულებისამებრ, კოცონზე წვავენ, მთაში დაღუპულ თანამემამულე მთამსვლელებს კი თოვლის სამარეში ასაფლავებენ.

ამბობენ, ნამდვილი შერპი მთაში იღუპებაო, როგორც ნამდვილი ჯარისკაცი ბრძოლის ველზე. ჰიმალაის მთებში შერპებზე ბევრი, ალბათ, არც ერთი ხალხი არ დაღუპულა. ისინი დასავლელ მთამსვლელებთან ერთად იმთავითვე იღუპებოდნენ ნეპალის ჰიმალაიზეც თუ მის ფარგლებს გარეთ აღმართულ რვაათასიანებზე, შვიდიათასიანებზე და ექვსიათასიანებზეც.

1922 წელს, როგორც ჩვენს მკითხველს ახსოვს, დედამიწის უმაღლესი მწვერვალის კალთებზე შვიდმა შერპმა ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

1934 წელს სიკვდილის მთად მონათლული ნანგა პარბატის დასამორჩილებლად გერმანელებთან ერთდა შერპებიც წავიდნენ. ისინი თავიანთი სოფლებიდან პირველად წავიდნენ ასე შორს. წავიდნენ და იქიდან ოთხ გერმანელთან ერთად ექვსი შერპი ცოცხალი ველარ დაბრუნდა.

ახლა შერპები ამაყობენ იმ ექსპედიციის მონაწილე თანამემამულე გაიალის გმირობით.

გაიალი ექსპედიციის მეთაურთან, ვილი მიორკლთან ერთად მიზანთან სულ ახლოს იყო, როცა ქარბუქი ამოვარდა. ისინი იძულებულნი გახდნენ პირი ებრუნებინათ, მაგრამ ისედაც ილაჯგაწყვეტილ მიორკლს სულ უფრო და უფრო ეცლებოდა ძალა. ბოლოს ქანცგაწყვეტილს განძრევაც აღარ შეეძლო. თუმცა გაიალს მუხლში ძალა საკმაოდ შერჩენოდა, მიორკლის ჩამოყვანა მაინც არ შეეძლო. ექსპედიციის ხელმძღვანელის მარტოდ დატოვებას გაიალმა მასთან დარჩენა და სიკვდილი ამჯობინა. მათ გვამებს ოთხი წლის მერე მიაგნეს. ერთმანეთის გვერდით იწვნენ. მნახველთათვის აშკარა გახდა, რომ გაიალმა მეტხანს იცოცხლა.

ასეთი თავგანწირვა ნიშანდობლივია შერპთათვის.

1937 წელს ნანგა პარბატზე შვიდ გერმანელთან ერთად ცხრა შერპი ზვავში ცოცხლად ჩაიმარხა. მერე აქ გერმანიიდან საგანგებოდ გაგზავნილი პატარა ჯგუფი ავიდა პაულ ბაუერის მეთაურობით და, როგორც გახსოვთ, ორის გარდა ყველა ცხედარი მოძებნა, გერმანელები მწვერვალის ძირში ჩამოასვენა და მიწასაც იქვე მიაბარა. გერმანელებს მადლიერების ნიშნად შერპთა ჩამოსვენებაც სურდათ, მაგრამ შერპებისავე თხოვნით ისინი დაღუპვის ადგილზე დატოვეს და თოვლში ჩამარხეს.

ამის მერე შერპებს თანამემამულეთა ჩამოსვენება აღარც ნანგა პარბატიდან უცდიათ და აღარც სხვა მწვერვალებიდან. მათ გვამებს მუდამ დაღუპვის ადგილზე ასაფლავებენ. ბუდისტთა წესჩვეულებაში ასეთი გამონაკლისი მხოლოდ მთამსვლელებში დამკვიდრდა და შერპები დაღუპულ თანამემამულე ალპინისტებს ამგვარად მიაგებენ პატივს.

**ავთანდილ გურასაშვილი**



ვილი მიორკლი (ცენტრში, წინა პლანზე) თავის უკანასკნელ ექსპედიციაში გამგზავრებამდე



პაზანგ კიკული (შუაში) რომელიც 1934 წელს ნანგა პარბატიდან სიკვდილს გამოექცა, მაგრამ მერე ჩოგორიზე დადლი ვოლფის გადარჩენას შეეწირა



ნანგა პარბატზე 1937 წელს 16 კაცის დაღუპვის ადგილი



ლენინის პიკზე დაღუპულ ქალთა მემორიალური დაფა



დაღუპულ მთამსვლელთა ასეთი მემორიალური დაფებია ანდებში, მწვერვალ ჩიმბორაზოს (6309მ.) ძირში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სლოვანის ისტორიას ქართველები ქმნიან



მურად [illegible] ფოტო

დავით უგრეხელიძე

**სლოვენიის ქართული ლეგიონის ერთ-ერთმა წევრმა, თვრამეტი წლის და 208-სანტიმეტრიანმა ცენტრმა დავით უგრეხელიძემ კარიერა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდ „კოლხაში“ დაიწყო. ახალგაზრდებით დაკომპლექტებულ „კოლხაში“, იგი, ნიკა ცქიტიშვილთან ერთად, სიმაღლითა და კარგი მონაცემებით გამოირჩეოდა და მალე სლოვენიაში, ლიუბლიანის „სლოვანში“ აღმოჩნდა. მეორე წელია, დავით უგრეხელიძე სლოვენიაში თამაშობს. პირველ სეზონში მას ასაკისა და გამოუცდელობის გამო იშვიათად უწევდა მოედანზე გასვლა. მას შემდეგ, ჩვენებურს თავის გამოჩენის საშუალება მიეცა და მანაც ბოძებული შანსი ხელიდან არ გაუშვა. განვლილ სეზონში დავითს მოედანზე ყოფნა მატჩში საშუალოდ 23 წუთი უწევდა, ხოლო „სლოვანი“ რომ ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა, ამაში ლომის წილი სწორედ უგრეხელიძეს მიუძღვის. დავით უგრეხელიძის სანაკრებო დებიუტი 3 ივნისს, ბულგარელებთან მატჩში შედგა და დებიუტანტის კვალობაზე არც თუ ურიგოდ გაისარჯა. ახლა იგი ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის ემზადება. მას ერთ-ერთ ვარჯიშის შემდეგ შევხვდით და „სლოვანში“ გატარებულ სეზონსა და ეროვნულ ნაკრებზე გავესაუბრეთ.**

**— როგორი პირობები გაქვთ სლოვენიაში?**

— მე და კოტე ტულუში ერთად ვცხოვრობთ და ყველანაირი პირობა გვაქვს, რათა ვარჯიშებიდან დაბრუნებულებმა მაქსიმალურად აღვიდგინოთ დახარჯული ენერგია. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, „სლოვანში“ სავარჯიშო პირობები იდეალურია. მთავარია, ვარჯიში გინდოდეს და არანაირი პრობლემა არ გექნება.

**— თავიდან, როცა ჩახვედით, ხომ არ გაგიჭირდათ?**

— პრობლემები რა თქმა უნდა მქონდა. ეს ძირითადად ჩემი ასაკისა და გამოუცდელობის ბრალი იყო. საქართველოს ჩემპიონატში გატარებული ერთი სეზონის შემდეგ, ცხადია, ძნელია ისეთი დონის კლუბში თავის გამოჩენა, როგორიც „სლოვანია“. პირველ სეზონში თამაშის შესაძლებლობა იშვიათად მქონდა. მოედანზე საშუალოდ რვა წუთს ვატარებდი, რაც, დამეთანხმებით, ძალიან ცოტაა, მაგრამ შარშან ზაფხულში ჩვენი გუნდის ძირითადმა ცენტრმა, პაველ ჯურკოვიჩმა ფეხის ტრავმა მიიღო, რომელიც თვენახევარი გაუგრძელდა და ამის გამო ხშირად მიწევდა მოედანზე ყოფნა. ამ დროში მოვასწარი მწვრთნელ ტომო მაჰორიჩისთვის საქმეში დამენახვებინა ჩემი შესაძლებლობები და როცა ჩვენმა ცენტრმა ფორმა აღიდგინა, მას ჩემი სახით უკვე ძირითადის სერიოზული კონკურენტი ჰყავდა. განვლილი სეზონის განმავლობაში ერთ მატჩში საშუალოდ 23 წუთი ვიყავი მოედანზე, რაც სადებიუტო სეზონთან შედარებით გაცილებით მეტია.

**— ძირითადად რის ხარჯზე მოახერხეთ ეს?**

— მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჯუკოვიჩის ტრავმის შემდეგ მეტი თამაშის შესაძლებლობა მომეცა, გამოცდილება შევიძინე და შესაბამისად კლასიც ამიმაღლდა. ჩემი ასაკის კალათბურთელისთვის სათამაშო პრაქტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მას შემდეგ, რაც სლოვენიაში ჩავედი, როგორც კალათბურთელი ერთიორად გავიზარდე. ვიმედოვნებ, ძირითად შემადგენლობაში დავმკვიდრდები და უფრო დავიხვეწები.

**— მაჰორიჩი კმაყოფილია თქვენი თამაშით?**

— ვფიქრობ, მისი იმედები გავამართლე. ჩემი თამაშით უკმაყოფილება ჯერ არ გამოუთქვამს. ისე, მაჰორიჩი ძალიან კეთილშობილი და თავმდაბალი კაცია, ნამდვილი პროფესიონალი. იგი, ჩემი აზრით, ზმაგო საგადინის შემდეგ პირველი მწვრთნელია სლოვენიაში.

**— კონტრაქტით რამდენი ხნით ეკუთვნით „სლოვანს“.**

— ჩემი კონტრაქტი ექვსწლიანია. კიდევ ოთხი წელი „სლოვანის“ საკუთრება ვარ.

**— ბევრი ხომ არ არის?**

— სრულებით არა. კონტრაქტი რომ გავაფორმე, თექვსმეტი წლის ვიყავი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთე. ისე, თუ „სლოვანის“ დატოვება მომინდება, შემიძლია, ეს დღესვე გავაკეთო, რადგან ხელფასი, ოთხი თვით დამიგვიანეს. ჩემი კონტრაქტი კი ამას ითვალისწინებს. ასე რომ, კონტრაქტს, კონტრაქტისვე თანახმად, როცა მინდა, მაშინ გავწყვეტ.

**— თქვენით სხვა კლუბები ხომ არ დაინტერესებულან?**

— არა. ჯერ არანაირი წინადადება არ ყოფილა. სხვა გუნდში გადასვლით ნაკლებად ვარ დაინტერესებული, რადგან სანამ ამას გადავწყვეტ, ერთი საქმე მაქვს მოსაგვარებელი, მენეჯერი უნდა ავიყვანო.

**— აქამდე არ გყოლიათ?**

— არა. შემოთავაზებები კი იყო. ბულგარელმა მენეჯერმა ნიკოლაი ტენევმა, რომელიც ვახტანგ ნაცვლიშვილთანაც თანამშრომლობს, შემომთავაზა ჩემს ტრანსფერებზე ზრუნვა. ასევე იყო ერთი ბერძენი და ხორვატი, მაგრამ არ ვიცი, რატომ არ დავთანხმდი.

**— თქვენი გუნდი განვლილ სეზონში მესამე იყო...**

— მართლაც დიდ წარმატებას მივაღწიეთ. აქამდე „სლოვანი“ არასდროს მოხვედრილა საპრიზო სამეულში. ძალიან მიხარია, რომ ამ ისტორიულ შედეგს „სლოვანმა“ ქართველებთან ერთად მიაღწია.

**— ქართველების დამსახურება მართლაც დიდია. განსაკუთრებით ბოლო მატჩში...**

— გეთანხმებით. ბოლო თამაში, რომელმაც ჩვენი ბრინჯაოს პრიზიორობა გადაწყვიტა, ძალიან დაძაბული და ჩვენთვის ორმაგად სასიხარულო აღმოჩნდა. ძალიან მსურდა, სლოვენიაში მედალი მომეპოვებინა. ამ მატჩში ჩემი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ. თხუთმეტი ქულა და თერთმეტი მოხსნა გავაკეთე, რითაც ჩემს გუნდს გამარჯვების მიღწევაში დავეხმარე. გასახარია ისიც, რომ თამაშის ბოლოს შემოსულმა ნიკა ცქიტიშვილმაც ჩინებულად ითამაშა და ის რომ არა, შეიძლებოდა, სულ სხვა შედეგი დაფიქსირებულიყო.

**— მიღწეულზე ხომ არ შეჩერდებით?**

— რა თქმა უნდა, არა. მომავალ სეზონში ვერცხლის მედლებისთვის ვიბრძოლებთ. ფინალში გასვლა წლეულსაც შეგვეძლო, მაგრამ კრკა-სთან დრამატულ მატჩში დასანანი შეცდომის გამო სამი ქულით დავმარცხდით. ვეცდებით, ეს მომავალ წელს გამოვასწოროთ.

**— ფინალიდან ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯია...**

— ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ თუ ფინალში „ოლიმპია“ შეგვხვდა, ვფიქრობ, უშანსოდ ვიქნებით. „ოლიმპია“ არამარტო სლოვენიაში, მთელ ევროპაში ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს და იგი თავის ჩემპიონატში პირველობას, ვფიქრობ, არავის დაუთმობს.

**— სლოვენიაში როდის მიემგზავრებით?**

— „სლოვანი“ შეკრებას თექვსმეტ ივლისს იწყებს. მე სლოვენიაში ცხრამეტში გავემგზავრები. მომავალ სეზონისთვის მზადებას ალბათ სლოვენიაშივე გავივლით.

**— თქვენი დებიუტი ეროვნულ ნაკრებში ბულგარელებთან შედგა. როგორ შეაფასებდით თქვენს და მთლიანად ნაკრების თამაშს ბოლო მატჩებში?**

— გახარებული ვარ, რომ ეროვნულ ნაკრებში გამომიძახეს. მართალია, თამაში ხშირად არ მიწევდა, მაგრამ დასაწყისისთვის ეს არაფერია. ყველანაირად ვეცდები, ჩემი თამაში უფრო დავხვეწო და ნაკრებს გამოვადგე.

ნაკრებმა სამივე მატჩი შესანიშნავად ჩაატარა და ღირსეულადაც არის ჯგუფში პირველ ადგილზე. განსაკუთრებით ბელარუსებთან შეხვედრას გამოვყოფ, რომელშიც ჩვენმა ნაკრებმა მებრძოლი ხასიათი გამოავლინა და ათი ქულით ჩამორჩენის შემდეგ, მეოთხე მეოთხედში, გარდატეხა მოახდინა და შეძლო მნიშვნელოვანი გამარჯვების მიღწევა.

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოს ნაკრები მოახერხებს მომდევნო ეტაპზე გასვლას?**

— იმ სტარტის გათვალისწინებით, რომელიც ჩვენმა ნაკრებმა პირველ სამ მატჩში აიღო, უფლება არ მაქვს, მის შემდეგ ეტაპზე გასვლას პესიმიზმით ვუყურო. იმას მტკიცება არ სჭირდება, რომ ბულგარეთსა და ბელარუსში ურთულესი მატჩები გველის, მაგრამ იქ მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა გავემგზავროთ. ვფიქრობ, ჩვენი მთავარი მეტოქე შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ბულგარეთის ნაკრები იქნება. მთავარი ბრძოლის გადატანა სწორედ მასთან მოგვიწევს და ვიმედოვნებ, იგი ჩვენს სასარგებლოდ დასრულდება.

**ირაკლი ბერტაია**



ვანგ ჟიჟის ნბა-ში თამაშს არ აცლიან

# ჩინეთი დეზერტირობას არ დაუშვებს

**ოდითგანვე** ასე იყო. სოციალისტური იდეოლოგიით მოწამლული ქვეყნები ვერ ეგუებოდნენ თავიანთ საუკეთესო სპორტსმენთა მიგრაციას იმპერიალისტურ დასავლეთში და ყველა ხერხით ცდილობდნენ, ამ პროცესისთვის ხელი შეეშალათ.

მილიარდნახევრიანმა ჩინეთმა ვერ მოინელა ქვეყნის ერთ-ერთი თვალსაჩინო შვილის, 216-სანტიმეტრიანი კალათბურთელის, ვანგ ჟიჟის საძულველ ამერიკაში, კერძოდ, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციის გადაბარგება და 22 წლის ნიჭიერი თავდამსხმელ-ცენტრის კარიერა ნბა-ში იქნებ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. ვანგი ჩინეთის არმიის ოფიცერია და სამშობლოში „ბეი როკიტსში“ თამაშობდა, რომელსაც ჩინეთის არმია კურირებდა. ვანგი ზედიზედ ექვსჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, 2000 წელს კი სიდნეის ოლიმპიადაზე ქვეყნის ღირსება დაიცვა. სწორედ იქ დაადგეს თვალი ჩინეთის ნაკრების ლიდერს ამერიკელებმა, კერძოდ კი, „დალას მავერიქსის“ სკაუტებმა და მომდევნო წლის აპრილში ვანგმა ამ კლუბის მაისურაც მოირგო. შედეგად კი გახდა პირველი ჩინელი, ვისაც ნბა-ში თუნდაც ერთი წუთით უთამაშია.

ჯერჯერობით ვანგის ნბა-ური კარიერა ოდენ ათ მატჩს მოიცავს (ხუთ-ხუთი რეგულარულ ჩემპიონატში და პლეი ოფში) და რადგან „დალასმა“ იგი სეზონის ბოლომდე აიყვანა, ახლა ჩინელი თავისუფალი აგენტია. „მავერიქსს“ მისი მინიმუმ ორი წლით დატოვება სურს და საკმაოდ ხელსაყრელ კონტრაქტსაც სთავაზობს, არც კალათბურთელია უარზე, მაგრამ სანამ ვანგი ხელშეკრულებას ხელს მოაწერს, ყველას ნერვები დააწყდება.

„ბეი როკიტსის“ ხელმძღვანელები, ანუ ჩინეთის არმიის გენერლები და ჩინეთის კალათბურთის ფედერაცია ურჩ ოფიცერს ძველ გუნდში თამაშს აიძულებენ და როგორც ჩანს, თავისას გაიტანენ კიდეც. არადა, ამერიკელები ვანგზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. აქ არ არის ლაპარაკი მხოლოდ „დალასის“ მიერ ნიჭიერი კალათბურთელის გადაბირებაზე, ეს ბევრად უფრო მეტია.

ყველას კარგად მოეხსენება ორ დიდ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობა, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინ ერთმა ინციდენტმა კიდევ უფრო გააღრმავა. ჩინეთის კუთვნილ საჰაერო სივრცეში შეჭრილი ამერიკული მზვერავ-ჯაშუში თვითმფრინავი შემთხვევით ჩინურ გამანადგურებელს შეეჯახა, რის შედეგადაც ჩინელი პილოტი დაიღუპა. ამერიკელთა ეკიპაჟი 11 დღით დააპატიმრეს, რაც სერიოზული პოლიტიკური სკანდალის საბაბი გახდა.

ამერიკელები სწორედ ვანგ ჟიჟის საშუალებით ცდილობდნენ ჩინეთთან ჩატეხილი ხიდის აღდგენას, მაგრამ, როგორც ხედავთ, თავად ჩინეთს არ სურს საპასუხო ნაბიჯის გადადგმა.

გარდა ამისა, ვანგი შესაძლოა ამერიკასა და სხვა ჩინელ კალათბურთელებს შორისაც გადებულიყო ხიდად. მაგალითად, ნბა-ს რამდენიმე გუნდი დავობს 226-სანტიმეტრიანი იაო მინგისთვის, რომლის შესაძლებლობებიც ამერიკელებმა ასევე სიდნეის ოლიმპიადაზე იხილეს. ნბა სამომავლოდ ჩინეთში საჩვენებელი თამაშების გამართვასაც გეგმავდა, მაგრამ კომუნისტური ჩინეთი ამერიკას ისევ ცერად უყურებს.

**ირაკლი ფირაშვილი**

„სარბიელის“ რედაქციას
ნება გვიბოძეთ, თქვენი
გაზეთის საშუალებით ულრმესი
მადლობა გადავუხადოთ
ქართული სპორტის თავკაცებსა
და იმ ორგანიზაციებს,
რომლებმაც გულთან ახლოს
მიიტანეს
და გაიზიარეს ჩვენი ოჯახის
ტრაგედია შვილის,
კაპუნა გახარიას
გარდაცვალების გამო.

როზა ბერიკაშვილი,
ლაშა გახარია

## საბერძნეთი

### პლეი ოფი

ფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 2 |
| ოლიმპიაკოსი | 2 |

**ოლიმპიაკოსი 80:74 პანათინაიკოსი**

ოლიმპიაკოსი: ბუდურისი (4), ფუჩევიჩი (9), პაპანიკოლაუ (12), დორკოფიკისი (2), რიზაშე, სულისი (1), ტომიჩი, დე მიგელი (10), ფემერლინგი (2), რაჯა (29), რივერსი (11)

პანათინაიკოსი: ალვერტისი (5), კალაიძისი (7), კოხი, როჯერსი, ფოცისი (10), ჯენტილე (17), ბოდიროგა (13), მიდლტონი (2), რებრაჩა (14), ბერკი (6), ბალოიანისი

# ყველას პრეზიდენტმა აჯობა

**ზაფხულის** დადგომასთან ერთად მკვეთრად იმატა იმ შეჯიბრებების რაოდენობამ, რომლებსაც საქართველოს საავტომობილო ფედერაცია აწყობს. პრაქტიკულად ყოველ კვირას იმართება ასპარეზობები როგორც პროფესიონალ, ასევე მოყვარულ მრბოლთა შორის.

პროფესიონალები თბილისის შემოგარენში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ეს გახლდათ რალიში ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი. თუკი მანამდე, ალმართის ჩქაროსნულ დაძლევაში მხოლოდ ექვსი პილოტი მონაწილეობდა, ამჯერად ბრძოლაში ცხრა ეკიპაჟი ჩაება.

ტრასის სიგრძე თავიდან 268 კმ იყო (აქედან 79 კილომეტრი 15 ჩქაროსნულ მონაკვეთზე განაწილდა), მარშრუტი კი რიყე — თბილისის ზღვა — ლისი — მუხათწყარო — სამადლო — შინდისი — კოჯორი — ბაგები. ფინიში საბურთალოზე, ფედერაციის შენობასთან იყო. სხვათა შორის, ეს იმ გზის ნაწილია, რომელსაც ჩვენი ფედერაციის მიერ 17-19 აგვისტოს დაგეგმილი საერთაშორისო რალის მონაწილეები გაივლიან.

საწყენია, რომ მსაჯთა და საგზაო პოლიციის წარმომადგენელთა მცდელობის მიუხედავად, ზოგიერთი ურჩი ავტომფლობელის მიზეზით ვერ მოხერხდა ყველა ჩქაროსნული უბნის დროულად და სრულად გადაკეტვა, რამაც საგრძნობლად შეაფერხა ასპარეზობის მსვლელობა. ცხადია, მომავალში საამისოდ უფრო მკაცრი ღონისძიებები უნდა გატარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება საერთაშორისო შეჯიბრის დროსაც შევრცხვეთ. ამ უსიამოვნო მიზეზით გაუქმდა ტრასის ყველაზე გრძელი, სამადლო — შინდისის შვიდკილომეტრიანი მონაკვეთი, რომელიც მრბოლებს სამჯერ უნდა დაეძლიათ. შედეგად ჩასათვლელი უბნების რაოდენობაც და გზის სიგრძეც თითქმის 50 კილომეტრით შემცირდა.

რიყეზე სტარტის შემდეგ მანქანებმა თბილისის ზღვას მიაშურეს, სადაც დენდროპარკის ტერიტორიაზე სამჯერ გაიქროლეს ხუთკილომეტრიან სპეცმონაკვეთზე. არ გაუმართლათ შარშანწინდელ ჩემპიონებს — ლევან ლომაძესა და მერაბ შენგელიას. მათ „ტოიოტას" ერთდროულად ორი საბურავი გაუსკდა, რის გამოც უამრავი დრო დაკარგეს და რბოლის ერთ-ერთი ფავორიტები ჩასათვლელი ექვსეულის მიღმა დარჩნენ.



ოლეგ ნაცვლიშვილის ფოტო

პირველი ეტაპი ვიქტორ თოდაძის „სუბარუმ" მოიგო

ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდეს ვიქტორ თოდაძემ და ვიქტორ ბაგრამოვმა. აღსანიშნავია, რომ თოდაძე გამოცდილი პილოტი, იმავდროულად, საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტია. მისმა „სუბარუმ" საუკეთესო დრო აჩვენა და თითქმის ნახევარი წუთით ჩამოიტოვა უახლოესი მდევრები, ჯემალ გულარაშვილი — ზაზა იაშვილისა („ოპელი") და დავით წიკლაური — გიორგი არჯევანიძის („ლადა-სამარა") ეკიპაჟები. დარჩენილ შვიდ ჩქაროსნულ მონაკვეთს დაწინაურებულთა განლაგებაში ცვლილება არ შეუტანია და რბოლაც იმავე თანმიმდევრობით დაასრულეს.

თოდაძემ 48 კილომეტრის დაძლევას 33 წუთი და 44 წამი მოანდომა (საშუალო სიჩქარე 85,3 კმ/სთ). ფინიშზე გულარაშვილთან მისი უპირატესობა 22 წამით გამოიხატა, წიკლაური კი გამარჯვებულს ორი წუთით ჩამორჩა. მომდევნო ჩასათვლელ ადგილებზე „ლადა-სამარათი" მოასპარეზე ეკიპაჟები გავიდნენ: ირაკლი ჯაჯანაშვილი და ნუგზარ ბაინდურაშვილი, მამუკა ჯანელიძე და ზურაბ ბაბუციძე, გიორგი ლომინაძე და ზაზა ზოზიაშვილი.

ჩატარდა მოყვარულთა რალის მეორე ეტაპიც — „ზაფხული 2001". წინა შეჯიბრებისგან განსხვავებით, ამჯერად ბევრად გაიზარდა სლალომის ფიგურებისა (8) და ჩქაროსნული მონაკვეთების (7) რაოდენობა, რამაც ასპარეზობა გაცილებით საინტერესო და დინამიკური გახადა. 15 ეკიპაჟი ერთმანეთს გარდაბნისა და საგარეჯოს რაიონების 214-კილომეტრიან დისტანციაზე ეჯიბრებოდა ერთმანეთს. გამარჯვება ირაკლი ჯაჯანაშვილმა და გიორგი არჯევანიძემ მოიპოვეს, მეორე ადგილზე გავიდნენ ზურაბ ბაბუციძე და ოვანეს კოგოსოვი („ლადა-სამარა"), მესამეზე — რობერტ კარაპეტიანი და სიმონ ივანოვი (ვაზ-2106). მონაწილეთა შორის ერთი გოგონების ეკიპაჟიც იყო. „ნივით" მოასპარეზე ეკა ბახტაძემ და მაგდა ცოცხალაშვილმა ბევრად გამოცდილ მამაკაცებს ტოლი არ დაუდეს და ფინიშამდე მისულ ათ წყვილს შორის საპატიო მეოთხე ადგილი დაიკავეს.

**ოლეგ ნაცვლიშვილი**





გაშერბრუმის მასივი და ჰიდენ პიკი (ცენტრში)

# გია თორთლაძე და ყარაყორუმის თეთრი ლაქა

**დედამიწის** უმაღლესი მწვერვალიდან ორიოდე კვირის წინათ თბილისში დაბრუნებულმა გია თორთლაძემ გუშინ გუდა-ნაბადი აიკრა და კვლავ რვაათასიანებისკენ გზას გაუდგა. იგი ყაზახეთის გუნდთან ერთად ქართველთათვის დღემდე თეთრ ლაქად დარჩენილი ყარაყორუმის ცათამბჯენებისკენ გაემართა. მას განუზრახავს იქაური ოთხიდან ორი რვაათასიანის, ჰიდენ პიკისა (8068 მ.) და გაშერბრუმ II (8036 მ.) კლასიკური მარშრუტებით დალაშქვრა. ოღონდაც, პირველზე იგი ალპურ სტილში აპირებს ასვლას, მეორეზე კი ჩვეულებრივი, ჰიმალაური მეთოდით, რაც წინასწარ საშუალედო ბანაკების მოწყობას გულისხმობს.

გია თორთლაძემ ასეთსავე მიზანს 1996 წელსაც მიაღწია, როცა ჰიმალაიზე რუსთა ექსპედიციის წევრებთან ერთად ორი რვაათასიანი დალაშქრა. მაშინ იგი ჩო-ოუიზე (8201 მ.) ჰიმალაურ, ხოლო შიშა პანგმაზე (8013 მ.) ალპურ სტილში ავიდა.

თუ თორთლაძე ახლაც ორივე მიზანს მიაღწევს, იგი გახდება ერთ-ერთი იშვიათი მთამსვლელთაგანი, რომელსაც სამ-ოთხ თვეში სამი რვაათასიანი დაულაშქრავს, საერთო ჯამში კი თოთხმეტი ცათამბჯენიდან მის აქტივში 6 ასეთი მწვერვალი იქნება.

საინტერესოა, რომ ჰიდენ პიკზე დღემდე 162 მთამსვლელი ასულა, მათგან სამს განმეორებით მიუღწევია მწვერვალისთვის. ამ მწვერვალის დამლაშქრავთა შორის 6 ქალია. ჰიდენ პიკზე ამსვლელთაგან 17 დაღუპულა.

რაც შეეხება გაშერბრუმს, იგი გაცილებით უწყინარი ჩანს, რადგან იქიდან საკმაოდ ბევრს, 520 კაცს გადმოუხედია, 15 კი დაღუპულა, რაც წარმატებებთან შეფარდებაში მხოლოდ 3,2 პროცენტია.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# გრინის ბრაზი და ჯონსის ტაქტი

**მძლეოსნობაში** ამერიკის ჩემპიონატზე წერა საჭირო საქმეა, რადგან იანკებს სახეობათა მოზრდილ წილში სრული მონოპოლია უპყრიათ და სხვა დანარჩენებშიც ახერხებენ რალაცრალაცეებს. ამიტომ 21-24 ივნისს ამერიკული მძლეოსნობის ციტადელთაგანი, ორეგონის შტატის ქალაქი იუჯინი ხალხმრავლობისა და მაღალი შედეგების მომსწრე უნდა გახდეს. შედეგებთან დაკავშირებით მეჭოკე ლოურენს ჯონსონი უაღრესად ოპტიმისტურ პროგნოზებს გამოთქვამს.

„მე მგონი, იუჯინში ორივე სქესის მსოფლიო რეკორდი დაემხობა — ამბობს სიდნეის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონი — სტეისი დრაგილაზე არას ვამბობ, მას ნებისმიერი სენსაციის მოხდენა შეუძლია. დროა, სერგეი ბუბკას მაღალ მიღწევას კაცებმაც რამე მოვუხერხოთ."

სიტუაცია ასეთია: სერგეი ბუბკას მსოფლიო რეკორდი 6 მეტრსა და 14 სანტიმეტრს უდრის, ამერიკისა — 6,03 მეტრი გახლავთ, ხოლო ჯონსონის პირადი მწვერვალი 5,92-ს შეადგენს. ანუ ამერიკელი 0,23 მეტრით უნდა ამაღლდეს, რაც სავსებით შესაძლებლად ჩანს. კონკურსი ფრიადი იქნება, რადგან ჯონსონს პირველ ადგილს შეეცილებიან ოლიმპიური ჩემპიონი ნიკ ჰარტვიგმა და ამერიკის რეკორდსმენი ჯეფ ჰარტვიგი, ვინც სიდნეიში მხედველობის დაქვეითების გამო ვერ წავიდა. მაგრამ შემდეგ ჰაისონგმა თვალის ოპერაცია გაიკეთა და ამტკიცებს, რომ ისეა მოწყურებული ჭოკით ხტომას, როგორც არასდროს.

ხოლო დრაგილა სავარაუდოდ ამერიკის ჩემპიონი გახდება და ედმონტონში მსოფლიოს ჩემპიონატზეც წავა, რადგან მსოფლიოს საგზურს ამერიკაში ყველა პრიზიორი იღებს, სხვა კი ვერავინ, თუნდ ადრეული მსოფლიოს ჩემპიონი იყოს და თუნდ რეკორდსმენი. ახალი წესი ამერიკის მძლეოსნობის ფედერაციამ შემოიღო: თუ წინა მსოფლიოს ჩემპიონს ედმონტონში წასვლა სურს, თავის დისციპლინაში ქვეყნის პირველობაზე ერთხელ მაინც უნდა გამოვიდეს. ადრე ჩემპიონები ჩემპიონატზე პირდაპირ „უაილდ ქარდით" ხვდებოდნენ.

წესების შეცვლას უშფოთველად შეეგუენ მეჭოკეები, ბირთვის მკვრელები და მებადროენი, თვით მარიონ ჯონსმა თქვა, რომ ახალი წესრიგი გულზე არ ეხატება, მაგრამ ხალხის სიამოვნებისთვის მაინც ირბენს 200-მეტრიან დისტანციას, თუმც 200 მეტრზე სირბილს ის ისედაც აპირებდა, რადგან სწორედ ამ დისციპლინაში სევილიის წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე ზურგში სპაზმებმა დაუარა და ერთხანს ლოგინად იყო ჩავარდნილი. ესე იგი, ედმონტონის საგზური მოსაპოვებელი აქვს.

აჯანყდა მხოლოდ მორის გრინი, რომელმაც პროტესტის ნიშნად განაცხადა, რომ 100 მეტრზე ერთი გასახურებელი გარბენის მეტს არას ირბენს. „მე მაყურებელს ერთ კაი სირბილს ვუჩვენებ, მერე კი მათშივე გავერევი — თქვა გაცეცხლებულმა გრინმა — ესენი ვინ არიან (ამერიკული მძლეოსნობის ოფიციოზი იგულისხმება)?! გვაკეთებინებენ იმას, რაც არ გვეკუთვნის და ნერვები მეშლება. სევილიაში გვითხრეს, მოიგეთო? მოვიგეთ! სამაგიეროდ, მომდევნო ჩემპიონატზე გაშვებას დაგვპირდნენ? დაგვპირდნენ! ჰოდა, მორჩა! სიტყვა სიტყვა უნდა იყოს!..."

„ამერიკის მძლეოსნობის ფედერაციამ — თქვა ახლა გრინის აგენტმა იმანუელ ჰადსონმა — ფაქტობრივად ზურგი გვაქცია, როცა ჩვენ მუდამ მხარს ვუჭერდით. ვიცი მე მაგათი ნააზრევი. გრინის და მისთანების ხარჯზე რეპორტაჟის უფლების ძვირად გაყიდვა უნდათ. მერე ჩვენ რა?..."

როცა ჟურნალისტებმა გრინის ამბით ფედერაციის აღმასრულებელ დირექტორ, კრეიგ მესბეკს მიაკითხეს, მან კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 375 ათასი დოლარია და მისი სიდიდე სიმცირე თავად განსაჯეთ. იმასაც დაგიზუსტებთ, რომ ფული ყოველი დისციპლინის პირველ ოთხეულზე ნაწილდება პროპორციით: 3500-2500-1500-500.

**დავით გულუა**



მორის გრინი გააბრაზეს


# იყიდება

☎ (231) 7 17 58



ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

# ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

# იყიდება

ორსართულიანი კერძო ბინა დოლიძის ქუჩაზე 170 კვ.მ. საერთო ფართით, გარაჟით, 150 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით

ტელ: 78 28 77



# სარბიელი

## სპორტული ლატარია

## კროკო

### იტალია. სერია A. პლეი-აუტი

24 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 002 | რეჯინა-ვერონა | 1,0 | 1,0 | 1,0 |

### პოლონეთი. პლეი-ოფი

24 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 006 | სტომილი-პოლკოვიცე | 1,0 | 1,0 | 1,0 |

### რუსეთი. მე-14 ტური

24 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 007 | ჩერნომორეცი-ზენიტი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 16.00 | 008 | როტორი-ანჟი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 16.00 | 009 | როსტსელმაში-ალანია | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 16.00 | 010 | ზილ-ტორპედო | 4,0 | 2,9 | 1,75 |
| 16.00 | 011 | სატურნი-კრილია | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 16.00 | 012 | ფაკელი-დინამო | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 16.00 | 013 | ცსკა-სოკოლი | 1,9 | 3,0 | 3,8 |

25 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 014 | სპარტაკი-ლოკომოტივი | 1,7 | 3,0 | 4,4 |

### შვედეთი

24 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 018 | ნორჩიოპინგი-ჰეკენი | 1,85 | 3,1 | 3,8 |

25 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 019 | ტრელებორგი-ჰამარბი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 22.00 | 020 | იურგორდენი-გიოტებორგი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 22.00 | 021 | ჰელსინგბორგი-იორებრო | 1,5 | 3,5 | 6,0 |

### ნორვეგია. მე-12 ტური

22 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 022 | ბრანი-მოლდე | 1,85 | 3,2 | 3,6 |

24 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 023 | ლილესტრიომი-მოსი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 21.00 | 024 | ლინი-ტრომსიო | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 21.00 | 025 | ოდ გრენლანდი-ბრინი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 21.00 | 026 | სოგნდალი-სტრიომგოდსეტი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 21.00 | 027 | ვიკინგი-ბოდიო გლიმტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.05 | 028 | სტაბეკი-რუსენბორგი | 3,4 | 3,2 | 1,95 |

### ფინეთი

25 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 031 | ჰაკა-ჰიკ | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.30 | 032 | ინტერი-ტამპერე | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.30 | 033 | როვანიემი-ატლანტისი | 3,3 | 3,2 | 2,0 |

### ესპანეთი. თასის 1/2 ფინალი

23 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 036 | სარაგოსა-ატლეტიკო | 1,0 | 1,0 | 1,0 |

24 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 037 | ბარსელონა-სელტა | 1,0 | 1,0 | 1,0 |

### ინტერტოტო. I ეტაპი. II მატჩები

23 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 502 | აიკ-კარმართენი | 1,05 | 8,0 | 16,0 |
| 19.00 | 503 | კლიფტონვილი-ტილიგული | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 504 | ტალინი-ჰაპოელი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 505 | ლიეპაია-კორკი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 506 | გლორია-ჯაზი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 507 | ჰიბერნიანსი-ზაგლებე | 6,5 | 4,0 | 1,4 |
| 20.00 | 508 | სლავენი-ანორთოსისი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.30 | 509 | ბილისი-უნივერსიტატია | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 20.30 | 510 | ცელიე-ორჰუსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.30 | 511 | სარტიდი-დანდი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 22.30 | 512 | ლოზანა-სენტ ჯულია | 1,02 | 9,0 | 18,0 |
| 23.00 | 513 | ლოკერენი-ტოფტირი | 1,05 | 8,0 | 16,0 |

24 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 514 | შირაქი-ტატაბანია | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 18.00 | 515 | ვილიაში-გრინდავიკი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.30 | 516 | სპარტაკი (ვარნა)-გროცლინი | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 20.00 | 517 | პობედა-ზაგრები | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 20.00 | 518 | პეტრჟალკა-ეკრანასი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 20.00 | 519 | ჰობშაიდი-დინამო (მინსკი) | 6,5 | 4,0 | 1,35 |
| 20.00 | 520 | რიდი-ვიტ ჯორჯია | ანგარიში | – | 5,0 |
| 21.00 | 521 | დენიზლი-ჩელიკი | 1,35 | 4,0 | 7,5 |

### მსოფლიოს ჩემპიონატი. ჭაბუკები (არგენტინაში)

23 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 537 | ფინეთი-ეგვიპტე | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 538 | არგენტინა-იამაიკა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 539 | გერმანია-ერაყი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 540 | ბრაზილია-კანადა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 541 | აშშ-უკრაინა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 542 | ჩინეთი-ჩილე | 1,0 | 1,0 | 1,0 |

24 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 543 | ანგოლა-ავსტრალია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 544 | ჩეხეთი-იაპონია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 545 | ეკვადორი-კოსტა რიკა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 546 | ეთიოპია-ჰოლანდია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 547 | განა-საფრანგეთი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 548 | პარაგვაი-ირანი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

### ევროპის ჩემპიონატი. ქალები (გერმანიაში)

23 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.15 | 549 | გერმანია-შვედეთი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

24 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 550 | რუსეთი-ინგლისი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

25 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 551 | იტალია-დანია | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 22.45 | 552 | ნორვეგია-საფრანგეთი | 1,25 | 4,4 | 8,0 |

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41
ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.
რუსთავში — შარტავას ქუჩა №7
ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23
ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)
ქობულეთში — ალმაშენებლის ქუჩა №106
მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი
სპორტული ლატარია
CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| ქობულეთი | ალმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და
თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შიშველი კიმი აჯანყდა



კიმ კლაისტერსი და ლეიტონ ჰიუიტი ერთმანეთს უკვე აღარ ჰგვანან

**ისტბორნი (ინგლისი)**
**BRITANNIC ASSET MANAGMENT CHAMPIONSHIPS**
**ბალახი. საპრიზო 565 ათასი $**

მსოფლიოს მესამე ჩოგან ლინდსი დევენპორტს კვარტალზე მეტხნიანი უქმობის შემდეგ, როგორც იქნა, კორტზე გამოსვლა ეღირსა. მარტში კი ბისკეინში ასპარეზობისას ძონძროხა ამერიკელმა მუხლი დაიზიანა და თუმც ოპერაციას გადაურჩა, შესვენება მაინც საოცრად გაეწელა. ლინდსი მაისში როლან გაროსზე თამაშს გეგმავდა, მაგრამ პარიზში ჩასულს ვარჯიშის დროს ტრავმამ ისევ შეახსენა თავი და შინ დაბრუნება მოუხდა.

„ამდენი ხანი კარიერაში არასოდეს გამიცდენია, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ეს დრო უსასრულობამდე გაიწელა. დღეს მატჩის წინ საოცრად ვნერვიულობდი, ვარჯიში სულ სხვაა, ტურნირზე ასპარეზობა — სულ სხვა. იმედია, მეტად აღარაფერი შემაწუხებს და უიმბლდონზე ხეირიანად ვითამაშებ“ — განაცხადა ინგლისის ზღვისპირა კურორტზე მოასპარეზე ამერიკელმა.

დევენპორტის მეტოქე მეორე წრეში (პირველი წრიდან ბობოლები გათავისუფლებულნი იყვნენ) ფრანგი ანაგეილ სიდო იყო. ამერიკელი საუკეთესო ფორმაშიც არ დაფრინავს კორტზე, ამჯერად კი მის მოძრაობას ბაჯბაჯი უფრო ეთქმოდა. ლინდსიმ ამასთან მატჩში შვიდი ორმაგი შეცდომაც დაუშვა, თუმც, ყველაფრის მიუხედავად, დამაჯერებლად გამარჯვებაც კი მოახერხა — 6:3, 62.

„თუ გავითვალისწინებთ, რომ მარტიდან მოყოლებული პირველად ვითამაშე, ურიგოდ არ გამოვიყურებოდი. ცოტა მოუხეშავად ვირჯებოდი და ზოგჯერ უცნაურ გადაწყვეტილებებს ვიღებდი კორტზე, მაგრამ აქ სწორედ ასეთი წუნის გამოსასწორებლად ჩამოვედი. რამდენიმე მატჩიც და ძველ, მაღალ დონეს დავიბრუნებ“ — მიაჩნია თავად დევენპორტს და ჩვენც საფუძველი არ გვაქვს, არ დავეთანხმოთ: შარშან თითქმის ასეთივე შვებულების შემდეგ მან უიმბლდონის ფინალში მოახერხა გაღწევა.

დევენპორტი „ოლ ინგლენდ კლაბში“ უეჭველად იასპარეზებს, მაგრამ იქ არ იქნება მისი მუდმივი მეწყვილე კორინა მორარიუ, რომელსაც ამ რამდენიმე კვირის წინ ლეიკემიის იშვიათი და მძიმე ფორმა აღმოაჩნდა. ლინდსიმ თავისი ახლო მეგობარი ფლორიდაში საავადმყოფოში რამდენჯერმე მოინახულა და ახლა ყელსაბამზე მის საპატივცემულოდ ასო C აქვს ჩამოკიდებული: „ეს ყოველი ჩვენგანისთვის ნამდვილი შოკი იყო. როდესაც მისმა მეუღლემ დამირეკა და ყველაფერი შემატყობინა, ხმის ამოღებაც კი გამიჭირდა. მე შინ მუხლის ტრავმის გამო დაბოლმილი ვიჯექი, მაგრამ კორინას მდგომარეობასთან შედარებით ეს არაფერს ნიშნავს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ის დაამარცხებს დაავადებას და ისევ დაგვიბრუნდება“.

ნაკლებად გაუმართლა მერვედფინალში ტურნირზე მეორედ განთესილ ნატალი ტოზიას. ვეტერანმა ფრანგმა ტაილანდელ ტამარინე ტანასუგარნთან შეხვედრაში ოთხი მატჩ-პოინტი გააცუდა და თითქმის სამსაათიანი მარათონი 7:6 (7:1), 6:7 (6:8), 3:6 დათმო.

**მერვედფინალი: ლაიზა რეიმონდი (აშშ) — ამანდა კუტცერი (3, სამხრეთ აფრიკა) 7:5, 3:6, 6:3; მაში სერნა (ესპანეთი) — მაგდალენა მალეევა (4, ბულგარეთი) 7:5, 6:2; სილვია ფარინა (6, იტალია) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) — ტრავმა; მეგან შონესი (7, აშშ) — ევი დომინიკოვიჩი (ავსტრალია) 7:6 (7:5), 1:6, 7:5; ჩანდა რუბინი (აშშ) — კონჩიტა მარტინესი (8, ესპანეთი) 6:7 (4:7), 7:5, 6:0**

**ჰერცოგენბოში (ჰოლანდია)**
**„ჰაინეკენის“ ღია პირველობა**
**ბალახი. საპრიზო 570 ათასი $**

**ქალები**

როლან გაროსის ისტორიულ ფინალში ჯენიფერ კაპრიატისთან დამარცხების შემდეგ „ჰაინეკენის“ ღია პირველობაზე პირველი მატჩი გამართა 18 წლის ბელგიელმა კიმ კლაისტერსმა. თავდაპირველად კლაისტერსი მაჯის და ფეხის ტრავმის მომიზეზებას და პირდაპირ „უიმბლდონზე“ გამგზავრებას გეგმავდა, მაგრამ აზრი მას მერე შეიცვალა, რაც ჰოლანდიურ ტურნირზე თამაშის სურვილი მისმა ბოიფრენდმა ლეიტონ ჰიუიტმაც გამოთქვა.

ჯანიანმა ბელგიელმა ჯოანეტ კრუგერთან შეხვედრა უხეიროდ დაიწყო და თავიდან საკუთარი მოწოდება დათმო. ვეტერანი სამხრეთაფრიკელის სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა — კლაისტერსმა მალევე გამოასწორა მდგომარეობა, მკვლელი ფორჰენდებისა და ბადესთან ოსტატური თამაშის წყალობით მეტოქე დაიბრიყვა და 6:3, 6:0 მოიგო.

„პარიზის შემდეგ სიხარულით მეცხრე ცაზე ვარ და ჩოგბურთისგან კიდევ უფრო დიდ სიამოვნებას ვიღებ, თანაც ბალახზე თამაში ყოველთვის მიყვარდა. ვფიქრობ, ჩემნაირი, ძალისმიერი სტილით ნებისმიერ საფართან შეგუება იოლია“ — აღნიშნა ბელგიელმა.

კლაისტერსს მალე სხვა ფრონტზეც მოუხდება ბრძოლის დაწყება: მისმა ოჯახმა ოფიციალური სარჩელი აღძრა დაზღვევის გიგანტ „ლოიდის“ წინააღმდეგ. მსოფლიოში სახელგანთქმულმა კომპანიამ რამდენიმე ფლანდრიულ გაზეთში წელზევით შიშველი ჩოგბურთელის გამოსახულებიანი რეკლამა გამოიყენა, რომელიც ეჟენ დელაკრუას სურათის „ადამიანთა წარმმართველი თავისუფლების“ თავისებურ გადამღერებას წარმოადგენდა. კლაისტერსები ამ რეკლამაზე არანაკლებ იმანაც აღაშფოთა, რომ მათთვის სურათის გამოყენების უფლება არავის უთხოვია (რაზეც მაინც უარს იტყოდნენ).

**მერვედფინალი: ჟუსტინ ენენი (2, ბელგია) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:2, 6:2; ელენა დოკიჩი (4, იუგოსლავია) — მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) 6:2, 6:2; ელენა ბოვინა (რუსეთი) — მარლინ ვაინგარტნერი (გერმანია) 6:2, 6:3.**

**ვაჟები**

გელფრენდს არ ჩამორჩა და მეოთხედფინალში გააღწია ლეიტონ ჰიუიტმაც. 20 წლის ავსტრალიელს, ეტყობა, ყელში ამოუვიდა კლაისტერსთან გარეგნული მსგავსების შესახებ მუდმივი შეხსენებები და გორან ივანიშევიჩთან მატჩზე ტრადიციული კიკინის გარეშე, მოკლედ შეჭრილი, თითქმის თავგადახოტრილი თმებით გამოცხადდა. ჰოლანდიელმა ქომაგებმა თავიდან ვერც კი იცნეს ოზი და მისი გვარ-სახელის გამოცხადებაზე გაკვირვების გმინვა აღმოხდათ.

იმიჯშეცვლილ ჰიუიტს, ივანიშევიჩისდა სამწუხაროდ, ბალახზე თამაში არ დავიწყებია, უიმბლდონის სამგზის ფინალისტს ორივე სეტში თითოჯერ აართვა მოწოდება და 6:4, 7:5 იმარჯვა: „ვფიქრობ, უიმბლდონზე მოგების ცუდი შანსი არ უნდა მქონდეს. იქ მესამე წრეს არასოდეს გავცილებივარ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, ბოლო თვეებში საკმაოდ ბევრ მნიშვნელოვან მატჩში მივიღე მონაწილეობა და გამოცდილებაც შევიძინე“.

ივანიშევიჩი, რომელსაც მხრის ქრონიკული ტრავმა ვერაფრით მოურჩენია, ჰიუიტის ოპტიმიზმს არ იზიარებს: „არა მგონია, წლეულს მან ჩემპიონად გახდომა მოახერხოს, ყოველ შემთხვევაში, მე მასზე ფულს ჯერ არ დავდებდი. აი, ერთ-ორ წელიწადში კი ის მართლაც ნამდვილი ფავორიტი იქნება“.

**მერვედფინალი: გილერმო კანასი (არგენტინა) — ჰიშამ არაზი (6, მაროკო) 6:3, 6:3; სხენგ შალკენი (7, ჰოლანდია) — ტომას ციბი (ჩეხეთი) 7:6 (8:6), 6:3; ძავიე მალისი (ბელგია) — ივ ალეგრო (ბელგია) 7:5, 6:4; რაემონ სლუიტერი (ჰოლანდია) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 4:1 — ტრავმა.**

**ნოტინგემის (ინგლისი)**
**ღია პირველობა**
**ბალახი. საპრიზო 350 ათასი $**

**მერვედფინალი: უეინ ფერეირა (2, სამხრეთ აფრიკა) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:4, 6:7 (5:7), 6:3; ტომას იოჰანსონი (3, შვედეთი) — ანდრეი სტოლიაროვი (რუსეთი) 7:5, 6:0; უეინ არტურსი (ავსტრალია) — იონას ბორკმანი (8, შვედეთი) 3:6, 6:4, 6:4; გრეგ რუზედსკი (ინგლისი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 7:6 (7:0), 4:6, 7:6 (7:3); ენდი როდიკი (აშშ) — ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) 6:3, 7:6 (7:3)**

**ავთანდილ სვანიძე**

# პრივალოსანი



ნასიმ ჰამედი

**ხომ** გახსოვთ, მექსიკელმა მარკო ანტონიო ბარერამ მანამდე, უძლეველი პრინც ნასიმ ჰამედი რომ დაამარცხა? მას მერე ორი თვე გავიდა და ნუ იკითხავთ მერე რაო — მერე ის, რომ კონტრაქტში ჩაწერილი რემატჩის ვადა გაილია. ჰამედი კი, რომელიც ერთი შეხედვით, ამ რემატჩით ყველაზე მეტად უნდა იყოს დაინტერესებული, იემენშია ნათესავების მოსანახულებლად.

საინტერესოა, რომ აპრილის შემდეგ ჰამედი დუმს, რინგზე გასვლის სურვილს არ ამჟღავნებს.

„ის ისვენებს, იემენშია ნათესავებთან“ — განაცხადეს მისი გუნდის წევრებმა — „მოსალოდნელია, რომ ბრიტანეთში უქმეებზე დაბრუნდება. ბრძოლის ჟინი სულაც არ დაკარგვია, თავს ჩინებულად გრძნობს, მაგრამ ვის და როდის უნდა ეჩხუბოს, ამაზე ჯერ ძმებთან მოილაპარაკებს და საჯაროდ მერე გამოაცხადებს“.

მარკო ანტონიო ბარერას მენეჯერმა, რიკარდო მალდონადომ კი ინტერვიუ მისცა ინგლისურ გაზეთ „დეილი ტელეგრაფს“, სადაც განაცხადა:

„ჰამედს რემატჩისთვის ორი თვე ჰქონდა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მისი რომელიმე წარმომადგენელი ერთი წამითაც არ დაგვკავშირებია. ვერ ვიტყვი, რომ გაოცებული ვარ, რადგან, ჩვეულებრივ, როდესაც მოკრივე კარიერაში პირველად მარცხდება, მას გარდა ფიზიკურისა, დიდი ფსიქოლოგიური ტრავმა აქვს მოსაშუშებელი. პირადად მე, ჰამედს დღემდე დიდ მოკრივედ მივიჩნევ და მწამს, რომ იგი რინგს დაუბრუნდება“.

* * *

**ლენოქს ლუისის** ბიზნეს მენეჯერის ადრიან ოგუნის განცხადებით, მისი კლიენტისა და მაიკ ტაისონის ბრძოლასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები არასდროს ყოფილა იმდენად სერიოზული, როგორც ახლაა. ოგუნის განცხადებით, მოკრივეთა და მოწინააღმდეგე ტელეკომპანიათა ურთიერთობას ყველაფერი 8 დეკემბრისკენ მიჰყავს.

ჯერჯერობით ლუისი ამერიკის სასამართლოში რაჰმანთან დავის გარკვევას ელოდება. თუ სასამართლომ მის სასარგებლოდ განსაჯა, მაშინ ექს-ჩემპიონი ტიტულების დაბრუნებას შეეცდება, მაგრამ თუ ლუისი იურიდიულ ბრძოლას წააგებს და რაჰმანი მასთან რემატჩს დაემალება, ექს-ჩემპიონი ტაისონს მაინც შეხვდება და მართალია ეს ბრძოლა არანაირ ტიტულს არავის მოუტანს, ის მაინც მთელი დედამიწის ყურადღების ცენტრში მოექცევა.

„ჯერჯერობით არანაირი ხელშეკრულება არ არსებობს“ — განაცხადა ტელეკომპანია „შოუთაიმის“ წარმომადგენელმა ჯეი ლარკინმა — „თუმცა სრულიად შესაძლებელია, რომ ბრძოლა გაიმართოს. ვადასტურებ, ტაისონ-ლუისის დაპირისპირება რეალობასთან ასე ახლოს არასდროს ყოფილა“.

შეგახსენებთ, რომ „შოუთაიმი“ ის ტელეკომპანიაა, რომელთანაც კონტრაქტით მაიკ ტაისონია შეკრული. ლენოქს ლუისთან შეკრული ტელეკომპანიის სახელწოდება კი გახლავთ HBO.

თავის მხრივ, ლუისის პირად განცხადებაში ეწერა, რომ მას ტაისონთან ჩხუბის დიდი სურვილი აქვს.

* * *

**WBC-ს,** IBF-ის და IBO-ს ჩემპიონი, მძიმეწონოსანი ჰასიმ რაჰმანი ყველა ღონეს ხმარობს, რათა 11 ივლისს ამერიკულ სასამართლოს თავი აარიდოს. მოგეხსენებათ, რაჰმანს მის მიერ ნაცემი ლენოქს ლუისი უჩივის, ჩივილის არსი კი ის გახლავთ, რომ ლუისის მტკიცებით რაჰმანს მასთან ჩხუბი მართებს, არადა ახალი ჩემპიონი 4 აგვისტოს ჩინეთში ნიგერიელ დევიდ აიზონთან აპირებს ჩხუბს.

„რკინის არგუმენტები მაქვს. კონტრაქტში წერია, რომ რაჰმანი უპირველეს ყოვლისა ვალდებულია ლუისთან რემატჩი გამართოს“ — განაცხადა ექს-ჩემპიონის ვექილმა ჯად ბარნსტეინმა — „მისტერ რაჰმანს გაცხადებული აქვს, რომ რემატჩი უნდა ჩაატაროს. ერთი სიტყვით, სხვა გზა არ არსებობს“.

შემდეგ ბარნსტეინმა დასძინა: „მაგრამ მას კვლავ სასამართლოსგან თავის დაღწევა სწადია და არ არის გამორიცხული, რომ ეს მოახერხოს. მართალია ჩვენ მას გუშინაც შევახსენეთ რემატჩის ამბავი, მაგრამ ის ჩემს ხელში ხომ არ არის. მე მასზე ზეგავლენის საშუალება არ მაქვს“.

ბარნსტეინმაც გაიმეორა და ჩვენც შეგახსენებთ, რომ ლუისს რაჰმანთან 18 აგვისტოს ბრძოლის ეიმედება. ვექილი ბრძანებს, რომ მისი ვარაუდით მოსამართლე მირიამ კიდარბაუმი ვერდიქტს სწორედ ლუისის სასარგებლოდ გამოიტანს და რაჰმანს აიძულებს უპირველეს ყოვლისა რემატჩი გამართოს.

* * *

**ქვემძიმე** წონაში WBC-ს, WBA-ს, IBF-ის და IBO-ს ჩემპიონს, როი ჯონსს IBF-მა საჩუქრად ტიტულის გლენ კელისგან დაცვის უფლება უძღვნა. ამგვარად, ჯონსს, რომელიც 28 ივლისს ხულიო გონსალესს უნდა შეხვდეს, მხოლოდ IBF-ის ქამრის დასაცავად 28 ოქტომბერს ავსტრალიელ კელისთან მოუწევს დაპირისპირება.

ავსტრალიელის კარიერაში 27 ბრძოლა ყოფილა, რომელთაგან მას 26 მოუგია (15 ნოკაუტით), ერთში დამარცხებულა, ხოლო ფრედ არცერთი დაუსრულებია.

შეგახსენებთ, რომ ჯონსის ბანაკს ყველაფერზე მეტად სუპერბრძოლის — ფელიქს „ტიტო“ ტრინიდადთან დაპირისპირების — სურვილი აქვს.

**ტუტა სიხარულიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



„დოფინე ლიბერეს“ ტურნირი

# ერთი წამი 7200 ევრო ღირს

**გასულ** კვირაში საფრანგეთში ერთ-ერთი საკმაოდ პრესტიჟული ველოტურნირი გაიმართა, რომელსაც „დოფინე ლიბერე“ ჰქვია. იგი პროლოგით დაიწყო და ლიდერის ლურჯ-ყვითელი მაისურაც პირველმა ფრანგმა დიდიე რუმ მოირგო, რომელმაც მეტოქეებზე ოდნავ უკეთესი დრო აჩვენა.

ორშაბათს, 11 ივნისს, პირველი ეტაპი (227 კმ) ბელგიელი ფაბიენ დე ვალეს გამარჯვებით დასრულდა. ბუნებით მეტად მორიდებულმა დე ვალემ წარმატებას თავისი სახელოვანი თანამემამულის, მსოფლიოს თასის მფლობელ ანდრეი ჩმილის დახმარებით მიაღწია. საბჭოთა სკოლის აღზრდილმა ჩმილმა (38 წლის) ბოლო კილომეტრებზე თანაგუნდელი ბორბალში ჩაისვა და მას სპრინტში დამიენ ნაზონის გასწრება შეაძლებინა. ამ მოგებით დე ვალემ ორმაგად გაიხარა, რადგან, ახლა „ტურ დე ფრანსზეც“ ნამდვილად წაიყვანენ თავისი გუნდის ხელმძღვანელები.

„ის ძალიან მორცხვი ბიჭია, რომელიც მხოლოდ თავის საქმეზე ფიქრობს და ჯერ გოგოებითაც კი არაა დაინტერესებული. ალბათ, „ტურზეც“ წავიყვანთ“ — თქვა „ლოტოს“ სპორტულმა დირექტორმა იოს ბრეკველტმა. ასეთი შეფასება ბევრს ძალიან ეწყინებოდა, თუნდაც მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში გამოსვლა დაებევებინა, მაგრამ...

მეორე ეტაპი კიდევ ერთი რუს, „ჟან დელატურის“ ლორანის გამარჯვებით დასრულდა და მან საერთო ჩათვლაშიც გადაასწრო ბონჟურელ დიდიეს. 170 კილომეტრის გავლის შემდეგ ჯერ კიდევ ორი მრბოლი ინარჩუნებდა ლურჯ-ყვითელი მაისურის დაუფლების შანსს, რადგან ლორან რუსთან ერთად ბელგიელი აქსელ მერქსი დაწინაურებულიყო. ფრანგი ლეგენდარული მრბოლის ედი მერქსის ვაჟს ბორბალში ჩაუჯდა, სპრინტი სწორად წამოიწყო და სასურველი შედეგიც მიიღო.

მანამდე შეტევები ერთმანეთის მიყოლებით განხორციელდა, მიუხედავად იმისა, რომ გზა საკმაოდ იოლი გასავლელი იყო. წარმატებული ზემოთ ნახსენები ორი მრბოლისა გამოდგა. თავიდან მათთან ერთად კრისტოფ ანიოლუტო, დავიდ ეჩებერია და იენს ვოიგტიც იყვნენ, მაგრამ ტრაკოლის აღმართში ბელგიელმა ტემპი გაზარდა და მისი მიყოლა მხოლოდ რუმ შეძლო. დუეტმა ფინიშს პელოტონზე წუთითა და 43 წამით ადრე უწია.

ოთხშაბათს მრბოლებმა ლეგენდარული მთა ვანტუ დალაშქრეს, ოღონდ „ტურისგან“ განსხვავებით, „დოფინე ლიბერე“ მწვერვალზე ყველაზე იოლი გზით ავიდა. 184 კილომეტრის თავზე პელოტონმა რბოლა კარპენტრაში დაამთავრა და საერთო ჩათვლაში ლიდერობა მეათე ადგილზე გასულმა მერქსმა მოიპოვა. საინტერესოა, რომ მამისს ეს შეჯიბრი ზუსტად 30 წლის წინ მოუგია. თუმცა, „კანიბალისგან“ განსხვავებით, აქსელს საბოლოო წარმატების ძალიან მცირედი შანსი ჰქონდა, ვინაიდან ინდივიდუალურ რბოლაში საუკეთესოებთან ტოლ-სწორად ვერ ასპარეზობს.

ლურჯ-ყვითელი მაისურის ჩაცმას იგი დაღმართზე ოსტატურად დაშვებას უნდა უმადლოდეს. სწორედ ვანტუდან ჩამოსვლისას დაეწია იგი დაწინაურებულებს, რამაც ძალიან ბევრი ენერგია წაართვა. „მრბოლზე გაცილებით მეტს უძლებს მშობიარე ქალი“ — ასეთი ფრაზა ისროლა აქსელმა კითხვაზე, დაიღალა თუ არა. ცნობისთვის: მერქსების ოჯახს დაახლოებით თვენახევრის წინ ახალი წევრი, აქსანა, შეემატა.

ფინიშზე პირველი ვენესუელელი უნაი ეჩებერია იყო, რომელმაც პროვანსის გოლიათის ფერდობზე შეუტია. მწვერვალს მან მდევრებზე 48 წამით ადრე უწია, მერქსის ჯგუფს კი ორი ამდენს უგებდა. გზის სწორ მონაკვეთზე პელოტონის წინა ნაწილი გაერთიანდა და ლტოლვილის უპირატესობამაც დნობა იწყო, მაგრამ წარმოშობით ბასკმა და სამხრეთ ამერიკაში სამიოდ წლის წინ გადაბარგებულმა ეჩებერიამ მაინც გაიტანა თავისი და ფინიშზე სხვებს 3 წამით მიასწრო.

ხუთშაბათს ინდივიდუალური რბოლა გაიმართა და, როგორც მოსალოდნელი იყო, საერთო ჩათვლის ლიდერიც შეიცვალა. ლურჯ-ყვითელი მაისურის ახალი მფლობელი დიდბრიტანელი დევიდ მილარი გახდა, რომელსაც შარშანდელ „ტურზეც“ ულიდერია პროლოგის მოგების ხარჯზე. მსოფლიოს მოქალაქე მილარმა, რომელსაც ადრე ჰონკონგსა და მალტაზე უცხოვრია, ახლა კი ფრანგულ ბიარიცში აქვს ლუზა ჩაშვებული, მეორე ადგილი დაიკავა და წინ მხოლოდ ამერიკელი ჯონათან ვოტერსი გაუშვა. რონას სანაპიროებზე გაშენებულ ვენახებში 43 კილომეტრის გავლის შემდეგ მილარი „კოფიდისის“ საამტურნირე ლიდერი გახდა. მისმა უფრო გამოცდილმა თანაგუნდელებმა ბრიტანელთან ბლომად დრო წააგეს და საერთო ჩათვლაშიც საკმაოდ უკან გადავარდნენ. ასე რომ, მათ 24 წლის მრბოლის დახმარებამ მოუწიათ დარჩენილ ეტაპებზე.

2000 წლის „ტურზე“ წაქცევის გამო ხელმოცარულმა ვოტერსმა ყველას დაანახვა, რომ ამჟამად ჩინებულ ფორმაშია და წლევანდელ „დიდ მარყუჟზეც“ მას ანგარიში უნდა გაუწიონ. „კრედი აგრიკოლის“ თავკაცებიც კმაყოფილნი ჩანდნენ საკუთარი მრბოლის გამოსვლით. 28 წლის დენვერელმა დისტანცია 46,224 კმ/სთ საშუალო სიჩქარით დაფარა, რაც მართლაც კარგი შედეგია იმის გათვალისწინებით, რომ გზად მრბოლებს ორი პატარა დაბრკოლებაც შეხვდათ.

მეხუთე ეტაპზე, რომელიც გრენობლში დასრულდა, „კოფიდისმა“ მოიგო და წააგო კიდეც. მილარმა ლიდერობა კი დაკარგა, მაგრამ ანდრეი კივილიოვმა ფინიშზე მიასწრო ყველას. ყაზახმა თავისი პირველი პროფესიული წარმატება იზეიმა იმ დღეს, როცა ფრანგი კრისტოფ მორო საერთო ჩათვლაში დაწინაურდა.

ფესტინელმა რუს პაველ ტონკოვს ოდენ ერთი წამით გაასწრო. წესით და რიგით, ეტაპი წყნარი უნდა ყოფილიყო და შეჯიბრის ბედის გადაწყვეტა მრბოლებს შაბათს ალპებში უნდა ეცადათ, მაგრამ ასე არ მოხდა და უკვე პარასკევს ბევრი ჩამორჩა გვარიანად. პირველ-მეორე ადგილებზე მყოფმა მილარმა და ვოტერსმა შესაბამისად 15 და 8 წუთზე მეტი წააგეს.

ამაში მთავარი დამნაშავე „მერკური“ იყო, რომელმაც დღის ერთადერთი დაბრკოლება — შამრუსის აღმართზე (1735 მ ზღვის დონიდან) სიჩქარეს ძალიან მოუმატა. მწვერვალამდე 8,5 კილომეტრით ადრე ტონკოვმა გადამწყვეტი იერიში წამოიწყო და მისი მიყოლა მხოლოდ კივილიოვმა, შვედმა სვენ მონტგომერიმ და ფრანგმა ბენუა სალმონმა შეძლეს. უკან მორო მიხვდა, რომ თუ ძალიან არ გამოიდებდა თავს, მათ დაწევას არ შეეცდებოდა და მშვიდად მიჰყვებოდა დაწინაურებულებს, ბევრ დროსაც არ წააგებდა, შეიძლებოდა, ლურჯ-ყვითელი მაისურაც დაესაკუთრებინა. „ვიცოდი, როგორც უნდა მემოქმედა და დასახული ამოცანაც შევასრულე“ — განაცხადა მორომ.

მეექვსე ეტაპი ესპანელი იბან მაიოს გამარჯვებით დასრულდა. 193 კილომეტრის გავლის შემდეგ მან ბრიანსონში მოწყობილ ფინიშზე ჯგუფურ სპრინტში დაჩაგრა სხვა პეპლები. ბასკი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ჩანდა მთელი რბოლისას. მის გარდა მორო და ტონკოვი ცდილობდნენ თავის გამოჩენას. უფრო სწორად, ტონკოვმა ყველაფერი გააკეთა, რათა თავისი ერთწამიანი ჩამორჩენა გაებათილებინა და სპრინტშიც კი მიიღო მონაწილეობა პრემიალური წამების მოსაპოვებლად, მაგრამ მოროც მაგრად დადგა და რუსს გადასწრების შანსი არ მისცა. საინტერესოა, რომ ამ დუელმა მის მონაწილეებს ეტაპი მეორე-მესამე ადგილებზე დაამთავრებინა.

კვირას დასკვნითი, მეშვიდე ეტაპი გაიმართა და კრისტოფ მორო ისტორიაში მეორედ გახდა „დოფინე ლიბერეს“ ჩემპიონი. მისი ეს გამარჯვება ერთგვარად კურიოზულიცაა, რადგან აქამდე ჯერ არ ყოფილა, ვინმეს საკმაოდ პრესტიჟული რომელიმე მრავალდღიანი რბოლა ერთი წამით მოეგოს!

„ფესტინას“ ლიდერმა ეს მცირედი უპირატესობა შეინარჩუნა შამბერიში, სადაც 1989 წელს ამერიკელი გრეგ ლემონდი მსოფლიოს ჩემპიონი გამხდარა. წვიმაში ტონკოვმა ორჯერ სცადა ფრანგის გადასწრება დღის დაბრკოლება მონტანიოლზე, რომელიც პელოტონმა ხუთჯერ დალაშქრა, მაგრამ წარუმატებლად. მორომ ერთი წამი მაინც მოიგო და მოწინააღმდეგეზე 7 200 ევროთი მეტიც ირგუნა.

„ყოველ მის იერიშს კონტრიერიშით ვუპასუხე“ — განაცხადა მორომ პოდიუმიდან ჩამოსვლისას. ეტაპი კი გერმანელმა იენს ვოიგტმა მოიგო, რომელმაც ლიდერებს ფინიშზე 5 წუთითა და 40 წამით მიასწრო. 1994 წელს მშვიდობის რბოლის მომგები რამდენიმე თავზეხელაღებულს ფინიშამდე კარგა ადრე დაუსხლტა და მეორე ადგილოსან ფრანგ ლორან ბროშარს წუთითა და 9 წამით აჯობა. „ამინდიც საკმაოდ დამეხმარა, რადგან მზეში ყველას შეტევა სწადია“ — ახსნა თავისი წარმატება კრედიაგრიკოლელმა.

30 წლის მორო „ტურის“ დანკერკში დაწყებამდე სამიოდ კვირით ადრე მშვენიერ ფორმაში ჩანს და შარშანდელი შედეგის (მე-4) გაუმჯობესებას აპირებს. ყოველ შემთხვევაში, მისი სპორტული დირექტორი ივონ სანკერი ამას ამტკიცებს: „მას ნამდვილად შეუძლია „ტურის“ პოდიუმზე ასვლა და ჩვენ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ“.

ვნახოთ, ბატონო, ოღონდ დოპინგი აღარ გაგვაგონოს „ფესტინამ“ და თუ უნდა, ზედიზედ რამდენიმე „ტურიც“ მოიგოს.

**გაგი გურული**



კრისტოფ მორო (წინ) და პაველ ტონკოვი წამში დაცილდება

**საბოლოო ჩათვლა**

1. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, ფესტინა) 28სთ 24წთ 10წმ
2. პაველ ტონკოვი (რუსეთი, მერკური) +1წმ
3. ბენუა სალმონი (საფრანგეთი, პრევუაიანსი) +2წთ 01
4. სვენ მონტგომერი (შვედეთი, ფრანსეზი) +2წთ 51
5. ანდრეი კივილიოვი (ყაზახეთი, კოფიდისი) +3წთ 57





1997 წლის 20 ივნისი. რიშარ ვირანკი კურშეველის ეტაპს იგებს, იან ულრიხს კი ბრძოლისა არაფერი ეტყობა...

# ტურის მანკიერებები

**რა** ღირს „ტურ დე ფრანსი“? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან ძნელი საქმეა, რადგან გადაჭრით ვერავინ იტყვის, როგორ შეიძლება შეფასდეს მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული ველოტურნირი. აქ გასათვალისწინებელია შეჯიბრის ორგანიზატორების დაწესებული სხვადასხვა პრემიები, თავად გუნდების სპონსორების მიერ გაღებული თანხები, ჩემპიონისთვის შემდეგ შეთავაზებული სარეკლამო და სხვა სახის კონტრაქტები და კიდევ ათასი რამ.

ერთი სიტყვით, თითქმის შეუძლებელია დათვალო, რამდენის გადახდა ღირს „ტურის“ ჩემპიონობის მოსაპოვებლად, რათა მერე დანახარჯი სრულად ამოიღო და მოგებაშიც დარჩე. და საერთოდ, როგორ შეიძლება აქ ჩაწყობაზე საუბარი?

თუმცა...

20 ივნისს „ფესტინას“ ყოფილი სპორტული დირექტორის, ბრუნო რუსელის წიგნი გამოვიდა, რომელშიც 1998 წლის „ტურის“ დოპინგ-სკანდალის ერთ-ერთი უმთავრესი მოქმედი პირი მრბოლებს ბრალს სდებს, რომ ისინი ეტაპებსა და პოპულარობას ყიდიან და ყიდულობენ.

შეგახსენებთ, რომ შარშან ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქ ლილში გამართულ პროცესზე რუსელი დამნაშავედ ცნეს და ერთწლიანი პირობითი თავისუფლების აღკვეთასთან ერთად 50 000 ფრანგული ფრანკითაც დააჯარიმეს.

ველოსამყაროში დოპინგის გავრცელებასთან ერთად ალებ-მიცემობასაც გაუდგამს ფესვები. რიშარ ვირანკს იან ულრიხისთვის რამდენიმე ათასი ფრანკი მიუცია, რათა ამ უკანასკნელს (რომელსაც, ფაქტობრივად, განაღდებული ჰქონდა 1997 წლის „ტურის“ ჩემპიონობა) მისთვის კურშეველის უძნელესი ეტაპის გამარჯვება დაეთმო. ამ ამბის უფრო დაწვრილებით წაკითხვა „ტურის“ მანკიერებებში“ შეიძლება. ამ წიგნში ისიც წერია, რომ ვირანკმა, რომელიც საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე იყო და მხოლოდ მას შეეძლო ულრიხის გადასწრება, მარკო პანტანისა და აბრაამ ოლანოს დახმარება სთხოვა, რაშიც 10-10 ათას ფრანკს დაპირდა.

გარდა ვირანკისა, რუსელს სხვა მრბოლებიც გამოჰყავს სააშკარაოზე, თუმცა იქნებ ცილსაც სწამებს. ამის გარკვევას ჩვენ ვერ შევძლებთ და თუ ვინმე „ფესტინას“ სპორტულ დირექტორს უჩივლებს და თავის უდანაშაულობას დაამტკიცებს, ამას ნამდვილად მოგახსენებთ.

რაც შეეხება ვირანკს, მას გუშინწინ საღამოს (ფრანგული დროით) ყველაზე ავტორიტეტული ფრანგული გამოცემა „ლე მონდი“ დაუკავშირდა და კომენტარი სთხოვა „ტურის“ მანკიერებებში“ წაყენებული ბრალდებების თაობაზე. ამჟამად დისკვალიფიცირებული მრბოლი ამტკიცებს, რომ ულრიხს პატიოსან ბრძოლაში აჯობა, მაგრამ გერმანელს რომ ფინიშზე თავი არ გამოუდვია (თუ რატომ, არ ვიცი), ესეც კარგად ახსოვს ბევრს. „ბრუნოს, ალბათ, დებილი ვგონივარ. ვინ უნდა დააჯეროს, რომ „ტურის“ მოგება მხოლოდ 10 ათასი ფრანკი ღირს და ამ თანხად პანტანისა და ოლანოსაც დავიყოლიებდი. მათ ჩემი დახმარება უბრალოდ არ მოისურვეს და სულ ესაა“ — განაცხადა ტელეფონით საუბრისას ვირანკმა და, ალბათ, არ ტყუის.

P.S. წერილის დასაწყისში დასმულ კითხვას, თუ რა ღირს „ტურ დე ფრანსი“, ვერ ვუპასუხეთ, მაგრამ, სამაგიეროდ, ის კი ნამდვილად დავადგინეთ, რომ იგი 10 ათას ფრანკზე ძვირია!

**გაგი გურული**





ბრუნო რუსელი


REUTERS სიდნეიდან

# ომის მოლოდინში

ავსტრალიას სტუმრობს ბრიტანელ ლომთა სარაგბო ნაკრები. ლომები უკვე ეთამაშნენ ამ ქვეყნის „ა“ ნაკრებს, ამ უქმეებზე კი ახალი სამხრეთ უელსის კრებულს უნდა დაეჭიდონ. მაგრამ ეს ყოველივე მზადებაა იმ სამი ტესტიდან პირველისთვის, მსოფლიო ჩემპიონ ავსტრალიელებთან რომ უნდა გამართოს ბრიტანეთის გაერთიანებულმა გუნდმა. მანამდე კი, დასვენების წუთები: ორი ლომი ბრაიან ოდრისკოლი (მარცხნივ) და კიტ ვუდი სიდნეის მთავარ, მენლი ბიჩის პლაჟზე გრილდებიან.


REUTERS ლას ვეგასიდან

# ოსკარი ლეგენდებს უახლოვდება

ბოლო ხანს იშვილებიდან ჩამოვარდნილი „ოქროს ბიჭუნა“, ამერიკელი მოკრივე ოსკარ დე ლა ჰოია კვლავ უბრუნდება ტიტულისთვის ბრძოლას. ლას ვეგასის „ემჯიემ გრანდში“ ის საბჭოს (ვბკ) ესპანელ ჩემპიონს ზე ველთერის წონაში ხავიერ კასტილიეხოს შეერკინება. თუ დე ლა ჰოია იმარჯვებს, ის გვერდში დაუდგება კრივის იმგვარ ლეგენდებს, შუგარ რეი ლეონარდი და ტომას ჰ ერნსი რომ გახლავან. ამათ ხუთ წონით კატეგორიაში მოუპოვებიათ ჩემპიონობა — ოსკარს კი ჯერჯერობით მხოლოდ ოთხში.

# ათენში იმსჯელეს

2004 წლის ათენის ოლიმპიადისთვის გაცხარებული მზადება მიმდინარეობს. ჯერაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავკაცს, ხუან ანტონიო სამარანჩს საქებარი სიტყვები არ დაუშურებია ორგანიზატორების მიმართ. საერთაშორისო ოლიმპიური აკადემიის გახსნის ცერემონიალზე მან ათენის ოლიმპიადას წარმატება უსურვა. სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი, ბელგიელი ჟაკ როგი, რომელიც ამავდროულად სამარანჩის მემკვიდრედ მოიაზრება, ათენის ოლიმპიადის ორგკომიტეტის თავმჯდომარეს, იანა ანგელოპულოსს შეხვდა და რიგ მშენებლობათა დაჩქარება სთხოვა.


REUTERS ათენიდან

# ყინულის მტვრეველი

ავსტრიის დედაქალაქ ვენიდან სამოც კილომეტრში, სენტ პიოლტენის მიდამოებში სწორედ რომ ზაფხულში გაიმართა ყინულის ხელოვნების გამოფენა. შოუს უფრო ეფექტურად წარმოსაჩენად, ყინულის ქანდაკებების ერთ ნაწილს კიკ-მოკრივე ვადი მერცა დაერია და მუშტებით გაადინა ბდღვირი.


REUTERS სენტ პოლტენიდან


REUTERS ბერლინიდან

# შრიოდერი ნიჩბით

გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრიოდერი ბრანდენბურგის მიწის პრემიერმინისტრ მანფრედ სტოლპესთან ერთად მისულა ბერლინის ოლიმპიური მომზადების ცენტრში. ნიჩაბი სიმბოლური რამ გახლავთ პოლიტიკოსებისთვის. ასე რომ, შრიოდერსაც შეუძლია თქვას, მე ვზივარ ნავშიო...



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge